მომავალ ორშაბათამდე A3
მოკლული ექსპერტი ბი-ბი-სი-ს ანონიმი წყარო იყო A4
TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ორშაბათი, 21 ივლისი, 2003 წელი. №198 (410)
ფასი 30 თეთრი

# ნიკა ლომინაძის მკვლელობა

## როგორ იძიებენ მილიონების გაქრობის საქმეს და რა მოხდა სინამდვილეში

წერილი მეორე

*"AES თელასის" ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმის გამოძიება დღესაც იმავე ვერსიაზე მუშაობს, რომელიც მკვლელობიდან რამდენიმე დღეში წამოიჭრა. კერძოდ, გამოძიების პირველივე დღეებში, მსხვერპლის სამუშაო კაბინეტის დათვალიერებისას, სამართალდამცველებმა მის მაგიდაზე საეჭვო დოკუმენტებს მიაკვლიეს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# კონგრესი საქართველოს კარგი თვალით უყურებს

"24 საათის" მიმომხილველი ესაუბრება აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილეს რიჩარდ არმიტიჯს.

შოთა უტიაშვილი
*ვაშინგტონიდან*

**- როგორ შეაფასებდით საქართველო-ამერიკის ურთიერთობებს მოახლოებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე?**

- მე მქონდა საშუალება საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე მომენახულებინა საქართველო. წლების განმავლობაში ვთანამშრომლობდით შევარდნაძესთან, როდესაც მას საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ფოთის მერი ჭავრს თავისუფალ მედიაზე იყრის

ხათუნა ცომაია
*ფოთიდან*

*ფოთის მერი, დავით ქანთარია წინასაარჩევნოდ გახურდა და ურჩ ჩინოვნიკებს დაერია. ქანთარიამ ფოთის ენერგოფილიალის უფროსის, თემურ შენგელიას განთავისუფლების შესახებ განცხადება ორშაბათის თათბირზე გააკეთა და ფილიალის ხელმძღვანელს "თანამდებობისთვის შეუფერებელი უწოდა". მათ შორის დაპირისპირება კარგა ხნის წინ დაიწყო. ადგილობრივი მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ქანთარია შენგელიას ამერიკელ ინვესტორებთან ერთად "კოლორადოში" გაყრით დაემუქრა. "არ ვიცი მე შენი ამერიკელი. მე მინდა შუქი. შენ და შენს ამერიკელებს კოლორადოში გაგაგდებთ და იქ იყავით. "მეშვიდე კილომეტრს" აქეთ არ შემოგიშვებთ" - განუცხადა ქანთარიამ "ენერგომამას".*

გაგრძელება A2 გვერდზე

# „ახალი მემარჯვენეები" 10 დღე ეკლესია-მონასტრებში იცხოვრებენ

ნანა ქადაგიშვილი

*გუშინ სიონის ტაძარში ახალგაზრდების განსაკუთრებული სიმრავლე შეიმჩნეოდა. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა პარტია "ახალ მემარჯვენეების" ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მდებარე ისტორიულ-მართლმადიდებლური ძეგლებისკენ გზა დაულოცა.*



პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და "ახალი მემარჯვენეების" ფინანსური მხარდაჭერით ახალგაზრდები ეკლესია-მონასტრების აღდგენა-მშენებლობაზე იმუშავებენ.

"ძეგლი – 2003" - ასე ეწოდება ღონისძიებას, რომელიც "ახალმა მემარჯვენეებმა" დააფინანსეს. 140-მდე პოლიტიკოსი და სტუდენტი 13 ბანაკად დაიყვნენ. ისინი ვარძიაში, ჭულევში, ნეკრესში, ბოდბეში, დედოფლისწყაროში, ბაღდათში, ახალგორში, რაჭაში, წულრულაშენში, ფიკასა და გუდამაყარში მდებარე ეკლესია-მონასტრებში 10 დღეს გაატარებენ. მათი ნაწილი ეკლესიების აღდგენა-მშენებლობაში მიიღებს მონაწილეობას. მაგალითად, რაჭაში ეკლესიის ასაშენებელი ადგილია გასაწმენდი, ბოდბეს დედათა მონასტერში გალავანია გასამაგრებელი. "ახალი მემარჯვენეებისა" და სტუდენტების ნაწილი კი 10 დღის განმავლობაში მონასტრული ცხოვრებით იცხოვრებს და წმინდა მამებს მიეხმარება.

**"მსგავსი ღონისძიებები წინა წლებშიც ტარდებოდა. 90-იან წლებში მას სახელმწიფო აფინანსებდა. ორი წელია, ღონისძიების ორგანიზება და დაფინანსება "ახალმა მემარჯვენეებმა" ითავეს. შარშან ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველი შედარებით ცოტა იყო. წელს კი იმდენია, რომ 13 ბანაკი შეიქმნა. ერთი ჯგუფის კვებისთვის 500 ლარია გათვალისწინებული,"** – აცხადებს "ახალი მემარჯვენეების" ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიძე.

პარტიის წარმომადგენლები მომავალ წელს "ძეგლი – 2004"-ის მოწყობასაც გეგმავენ.

# ვის რამდენი ჩამოეჭრება?

## წუხელ მთავრობამ ბიუჯეტის შემცირების გეგმა წარადგინა

*გუშინ დილით მთავრობის ეკონომიკური ბლოკი სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან შეიკრიბა. მათ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის 135 მილიონი ლარით კორექტირების გეგმაზე უნდა ემსჯელათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფინანსთა სამინისტრომ ამ გეგმის წარმოდგენა დააგვიანა. გოგიაშვილის უწყებამ მთავრობის ეკონომიკურ გუნდს ბიუჯეტის კორექტირების გეგმა მხოლოდ გუშინ საღამოს გააცნო.*

მაია ურუშაძე

როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა "24 საათს" განუცხადა, დოკუმენტზე მუშაობის პროცესი იმან გაახანგრძლივა, რომ ფინანსთა სამინისტროს ცალკეულ ორგანიზაციებთან კონსულტაციები და მათი თანხმობის მიღება დასჭირდა. **"ეს სეკვესტრი კი არა, შემცირება იყო. ამდენად, არ არსებობდა კონკრეტული ფორმულა, რომლის მიხედვითაც ხარჯები შეიკვეცებოდა,"** - განმარტა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

ხარჯების შემცირებაზე მუშაობის დაწყებისთანავე მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა ორიენტაცია სოციალური ტიპის ხარჯების შენარჩუნებაზე აიღო. მიუხედავად ამისა, გიგოლაშვილის ინფორმაციით, **"ჯანდაცვის სამინისტროს, რომლის ბიუჯეტიც 60 მილიონ ლარს აღემატებოდა, ხარჯები 7 მილიონით შეუმცირდა."**

ბიუჯეტის კორექტირებაზე განსაკუთრებულად მძაფრი რეაქცია ძალოვან სამინისტროებს ჰქონდათ. მუხედავად ამისა, მათთვის ჩამოჭრილი თანხები საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. თავდაცვის სამინისტროს ხარჯები 6 მილიონ 300 ათასი ლარით შემცირდა, საიდანაც 5 მილიონი ლარი საბიუჯეტო, 1 მილიონ 300 ათასი ლარი კი - სპეციალურ შემოსავლებზე მოდის.

გაგრძელება A2 გვერდზე

# აშშ საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწყობას დააფინანსებს

გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის, დავით თარხან-მოურავისა და საქართველოში ევროსაბჭოს რეზიდენტი მრჩეველის, მანფრედ ზუმერედერის ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა.

A2

# ჰალსტუხიანი "სოციალისტები" "ჰალსტუხიანი ყაჩაღების" წინააღმდეგ

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

"სოციალისტურმა პარტიამ" რეგიონებში წინაასარჩევნო აქტიურობა დაიწყო. ამის მაგალითად რჩეულიშვილის ქუთაისში გუშინდელი ვიზიტიც გამოდგება. "სოციალისტებმა" ქუთაისის ოპერის თეატრში ფორუმი ჩაატარეს, სადაც საარჩევნოდ განსახორციელებელი ამოცანები დასახეს. მანამდე კი, რჩეულიშვილმა სოციალისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარეს - ბადრი ალფაიძეს, 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ღირსების ორდენი გადასცა.

პარტიის ადგილობრივი აქტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თეატრის დარბაზი, მხარდამჭერებით გადაჭედილი გახლდათ. თავის მხრივ "სოციალისტებიც" მეტად წარმომადგენლობითი

გაგრძელება A2 გვერდზე



ბესო გულაშვილის ფოტო

რჩეულიშვილის გამოსვლამ ხაზარაძეს ნათელი მომავალი დაანახა.

# ფინანსური გამჭვირვალობა - სამართლიანი არჩევნების მთავარი პირობა

თამარ ხორბალაძე

ევროსაბჭო, რომელმაც უარყოფითად შეაფასა სომხეთში წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები, საქართველოს მომავალი არჩევნებისთვის მზადებას ძალიან სერიოზულად იწყებს. "სტრასბურგის მემორანდუმი", რომელსაც გასულ კვირას ხელი მოაწერეს ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, უპრეცედენტო შემთხვევაა პოსტსაბჭოთა (და არა მხოლოდ) სივრცეში: მემორანდუმით პოლიტიკური პარტიები იღებენ ვალდებულებას, რომ ჯერ კიდევ არჩევნებამდე გამჭვირვალეს გახდიან წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსებას. ხოლო იმას, რომ ხარჯები გამჭვირვალე იქნება, გააკონტროლებს ანტიკორუფციულ საბჭოსთან შექმნილი მონიტორინგის საბჭო, რომელშიც პოლიტიკური პარტიები და მასმედიის წარმომადგენლები შევლენ. ამ ჯგუფში დამკვირვებლების სტატუსით იქნებიან მოწვეულნი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხებს მიეძღვნა სტრასბურგის კონფერენცია, რომელიც თავად ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა გახსნა. მასში მონაწილეობა მიიღეს ევროსაბჭოს სტრატეგიული დაგეგმვის დირექტორატის დორექტორმა ჟან ლუი ლორანმა, პოლიტიკური რეკომენდაციებისა და თანამშრომლობის დირექტორმა მარკ შაუერმა, საქართველოში მომუშავე მონიტორინგის ჯგუფების თითქმის ყველა წევრმა და ხელმძღვანელმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „ფერარიმ" წააგო, „ფერარიმ" მოიგო

ალბათ, გაინტერესებთ, საიდან დაიწყო თანამედროვე ფორმულა 1. ფრანგები თვლიან, რომ სწორედ ისინი არიან პიონერები, მაგრამ ბრიტანელებსაც რომ იგივე პრეტენზია აქვთ!

A5

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | |
| ქუთაისი | 32 | |
| ბათუმი | 28 | |
| სოხუმი | 30 | |
| ფოთი | 30 | |
| გორი | 27 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1450 |
| ევრო | 2.4101 |
| გირვანქა სტერლ | 3.4226 |
| რუბლი | 0.0705 |

# „ლოკომოტივი" საქართველოს თასის მფლობელია

პაატა თოთაძე

**საქართველოს თასი. ფინალი**

**ლოკომოტივი - დათვები 32:30**

საქართველოს თასის მფლობელი კი გაირკვა გუშინ, მაგრამ "ლოკომოტივი"-"დათვების" ფინალური პაექრობა კიდევ პოვებს გამოძახილს.

"ლოკომოტივს" ვულოცავ გამარჯვებას. ჩემს ბიჭებს კი მინდა, ყველაფრისთვის დიდი მადლობა ვუთხრა. ძალიან კარგი თამაში გამოვიდა, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ მსაჯობა არაკვალიფიციური და ტენდენციური იყო",

გაგრძელება A5 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# დეფექტური დემოკრატია და კარგი მმართველობა

*წინასაარჩევნო პერიოდში აქტიური ხასიათი მიიღო პარტიების მიერ ქვეყნის განვითარების პოლიტიკის შემუშავების მცდელობამ. ეს ცდა ხშირად აბსტრაქტული ექსპერიმენტების ხასიათს იძენს. ლაპარაკია კონსტიტუციური ცვლილებების აუცილებლობაზე, ქვეყნის ტერიტორიის დეცენტრალიზებული მოწყობისა და ორპალატიანი პარლამენტის შექმნის იდეაზე. აღნიშნული ექსპერიმენტების "განხორციელებას", პოლიტიკური პარტიები არჩევნებში გამარჯვებას უკავშირებენ და მოსახლეობას საკუთარი პოლიტიკის ჭეშმარიტებაში არწმუნებენ. ჩვეულებისამებრ, ეს დარწმუნება მოკლებულია დასაბუთებულ, პრაგმატულ საფუძვლებს და ემყარება სიმბოლურ, რეალობისგან მოწყვეტილ თეორიულ საწყისებს.*

ლევან იზორია
*სამართლის დოქტორი (გერმანია, გოტინგენი), თსუ-ს დოცენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, კონრად-ადენაუერის ფონდის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში.*

ზოგიერთი პარტიის წინასაარჩევნო ექსპერიმენტი უკავშირდება რევოლუციური ხასიათის გამოსვლებს. მძიმე სოციალური პირობების ფონზე, ლაპარაკია ხელისუფლების გადაყენების აუცილებლობაზე. ხშირად მიუთითებენ სოციალური ხასიათის ექსპერიმენტების რევოლუციური განხორციელების უნარზე; კერძოდ, ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფ ტემპში გაუმჯობესების შესაძლებლობაზე. ამ ექსპერიმენტის "განხორციელებაც" დამოკიდებულია არჩევნებში გამარჯვებაზე და ხელისუფლებაში მოსვლაზე. ამიტომ, რევოლუციური ფრთის პოპულისტური დაპირებები და ხელისუფლებასთან დაპირისპირება სწორედ არჩევნების წინ იძენს განსაკუთრებულ სიმწვავეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 სპორტი A6-A7 "საოჯახო ტოტოს" ცხრილი A8 სხვადასხვა

# ჰალსტუხიანი "სოციალისტები" "ჰალსტუხიანი ყაჩაღების" წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

დელეგაციით წარსდგნენ: ირაკლი მინდელი, ნუგზარ ნავაძე, მერაბ შენგელია. რჩეულიშვილს კი მხარს ბლოკ "ახალი საქართველოსთვის" კიდევ ერთი ლიდერი ვიტალი ხაზარაძე უმშვენებდა. **"მე ჩამოვედი აქ, რომ ქუთაისელებს მოველაპარაკო. იმერეთში ჩვენი ორგანიზაცია ერთ-ერთი სამაგალითოა. თერჯოლა კი საერთოდ სოციალისტური ქალაქია. იქ გამგებელიც და საკრებულოც ჩვენი პარტიის წიაღიდან არის",** - განაცხადა ფორუმის დაწყებამდე რჩეულიშვილმა.

ახალი ინიციატივა, რომელიც "საციალისტთა" ლიდერის ბაგეთაგან ქუთაისში გაჟღერდა, ეგრეთ წოდებული ჰალსტუხიანი ყაჩაღების (ანუ კორუმპირებული თანამდებობის პირების) დაჭერა გახლავთ. **"ჰალსტუხიანი ყაჩაღები უნდა დავიჭიროთ. ისინი ანადგურებენ და ჭამენ ბიუჯეტს. ციხე თოფიანი ბანდიტებისთვის კი არა, ამ ხალხისთვის უნდა იყოს, რომლებიც უმოწყალოდ ძარცვავენ ქვეყანას",** - აღნიშნული სიტყვების შემდეგ რჩეულიშვილმა შეამჩნია, რომ თავადაც ჰალსტუხი ეკეთა და ხუმრობით დასძინა, ეს ამბავი მე არ მეხებაო და ქუთაისიდან შევარდნაძეს მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა.

"ჰალსტუხიანი ყაჩაღების" წინააღმდეგ ტრიბუნიდან ბრძოლაში რჩეულიშვილი იქამდე მივიდა, რომ საქართველოში დახვრეტის მუხლის გაუქმების გამო ღრმა სინანული გამოხატა და აღნიშნული მუხლის აღდგენა ინატრა. ვახტანგ რჩეულიშვილს ქუთაისურ ფორუმზე არც რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე საუბარი დავიწყებია და ამ თემას საკმაოდ დიდი დრო დაუთმო. **"მე პრეზიდენტთან კონტრაქტი დავდე(?!), სადაც მოვითხოვე რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენა. მართალია აფხაზეთთან მიმართებაში რუსეთმა გვაწყენინა, მაგრამ ჩვენ უფრო მაღლა უნდა დავდგეთ, ვიდრე ეს წყენა."** - განაცხდა საქართველოში პირველმა "სოციალისტმა".

ფორუმის დასასრულს ტრიბუნასთან ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის წარჩინებული მოსწავლის, ღვინეფაძის ბებია მივიდა. აღნიშნულ მოსწავლეს რჩეულიშვილმა ჯერ სტიპენდია დაუნიშნა, შემდეგ კი მოსკოვის უნივერსიტეტში ჩაბარებაში დაეხმარა. **"ჩემს შვილიშვილს რასაც დაჰპირდა, შეასრულა და ამიტომაც, დარწმუნებული ვარ, რომ რაც ამ დარბაზში თქვა, ყველაფერს შეასრულებს",** - განაცხადა ღვინეფაძის ბებიამ.

# ფინანსური გამჭვირვალობა - სამართლიანი არჩევნების მთავარი პირობა

პირველი გვერდიდან

"24 საათი" უკვე წერდა ევროსაბჭოს გენერალური მდივნის გამოსვლისა და კონფერენციის მიზნების თაობაზე. ევროსაბჭოს ყველა წარმომადგენელი განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს იმ ფაქტს, რომ დღეს საქართველოში არსებული კორუფციის, მათ შორის კი – პოლიტიკური კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელი პირობაა "მოსალოდნელი უმართავი პროცესების" თავიდან ასაცილებლად.

საქართველოში რომ მოსალოდნელი უმართავი პროცესების აჩრდილი კარგად ჩანს, განსაკუთრებული ხაზგასმა გააკეთა საქართველოს მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა ჟან ლუი ლორანმა. მანვე განაცხადა, რომ მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, რომელიც საქართველოში მათ მიერ შერჩეულ "ავტორიტეტულ და პოლიტიკურად ნეიტრალურ" სტრუქტურასთან - ანტიკორუფციულ საბჭოსთან იფუნქციონირებს, შესაძლოა მომავალში "უკეთესი მოხსენებების დაწერის" წინაპირობად იქცეს.

საინტერესოა, რომ მემორანდუმს, რომელსაც ევროსაბჭო დღეს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ხელი სტრასბურგში წარმოდგენილმა ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მოაწერა ("ნაციონალებმა", "დემოკრატებმა", "ლეიბორისტებმა", "ტრადიციონალისტებმა", "სახალხომ", "აღორძინებამ", "მრეწველებმა", "სოციალისტებმა").

სხვათა შორის, "მოქალაქეთა კავშირის" წარმომადგენელმა გია ზურაბაშვილმა ბოლო წუთში, პირადული მიზეზებიდან გამომდინარე, უარი თქვა სტრასბურგში წასვლაზე. შედეგად შევარდნაძის პარტია ევროსაბჭოში გამართულ კონფერენციაზე წარმოდგენილი არ გახლდათ.

მართალია, შევარდნაძის ხელისუფლებას წარმოადგენდა მისი სათათბირო ორგანოს – ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელი კახა უგულავა, რომელსაც, როგორც ამბობენ, ევროსაბჭოში ხელისუფლების პოზიციის ლობირება აქვს დავალებული, მაგრამ უგულავას სტატუსი და ფუნქციები, ცხადია, რომელიმე პარტიის პოზიციის დაცვის საშუალებას არც აძლევდა და ეს მას არც უცდია.

უკვე ორშაბათიდან ანტიკორუფციული საბჭო, რომელიც მემორანდუმის აღსრულების და მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის ორგანიზატორი და კოორდინატორია, მასზე ხელმოწერას საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიას შესთავაზებს. ასევე ყველა პოლიტიკურ პარტიას, რომელიც "ნებაყოფლობით შეუერთდება" ამ მემორანდუმს, ექნება საშუალება მონიტორინგის ჯგუფის შეხვედრებზე წარმოადგინოს ინფორმაცია კონკურენტის "ფინანსური გადახრების" შესახებ. ამ ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ, იგი პრესისთვის ღია გახდება. რა თქმა უნდა, მემორანდუმზე ხელმოწერაზე უარის თქმა ნამდვილად არ იქნება აღქმული "კარგ ტონად" ევროსაბჭოში, სადაც საქართველოში შექმნილი გამოცდილების გამოყენებას ევროსაბჭოს წევრ სხვა ქვეყნებშიც აპირებენ. სხვათა შორის, სწორად ამ გამოცდილების გასაზიარებლად, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა აზერბაიჯანის ელჩი ევროსაბჭოში.

სტრასბურგის მემორანდუმის ხელმომწერმა პოლიტიკურმა პარტიებმა უკვე დაიწყეს მოქმედება. "24 საათის" ინფორმაციით, ისინი აგროვებენ ინფორმაციას კონკურენტთა "ფინანსური გადახრების" შესახებ და მასალებს მონიტორინგის ჯგუფის უახლოეს სხდომას წარუდგენენ.

## მოკლედ

### არძინბა სამ თვეში გადადგება

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების შს მინისტრის ყოფილი მოადგილე ინგიშტერ ნარმანია ირწმუნება, რომ არძინბა თანამდებობიდან სამ თვეში გადადგება, მაგრამ ამას დესტაბილიზაცია არ მოჰყვება, რადგან რუსეთი უკვე მზად არის საგანგებო სიტუაციათა მინისტრ სერგეი შოიგუსთან დაახლოებული პირის, ნოდარ ხაშბას გასაპრეზიდენტებლად. კვლავ დაძაბულია არძინბას გარემოცვისა და ოპოზიციური პარტიების - "ამცახარასა" და "აიტაირას" - ურთიერთობა. პარტიებს შორის კონსულტაციები მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, რომ არძინბას გადადგომის შემდეგ, პრეზიდენტის პოსტზე საერთო კანდიდატურა დაასახელონ. **მედია-ნიუსი**

### აფხაზები და ქართველები ჟენევაში მიემგზავრებიან

საქართველოს და აფხაზეთის დელეგაციები პირველად მიიღებენ მონაწილეობას ჟენევაში 21-22 ივლისს დაგეგმილ შეხვედრაზე, რომლის ორგანიზატორებიც არიან გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის (რუსეთი, ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი) მაღალი რანგის წარმომადგენლები.

ასეთი შეხვედრები, წესისამებრ, მხარეთა მონაწილეობის გარეშე ტარდება, ახლა კი გამონაკლისი გაკეთდა. ქართულ დელეგაციას განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე, ხოლო აფხაზეთის დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა უხელმძღვანელებენ. შეხვედრის ძირითადი თემა კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირება და საქართველო-აფხაზეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა იქნება. გარდა ამისა, აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე დევნილთა დასაბრუნებლად უსაფრთხო მექანიზმების შექმნაზეც ისაუბრებენ, რის გარანტადაც გაერო-ს მეგობარი ქვეყნების ჯგუფი გამოდის. **მედია-ნიუსი**

### ბურჯანაძემ ლიბერალებთან საერთო ენა გამონახა

"ლიბერალური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი ვახტანგ ხმალაძე აცხადებს, რომ პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან "ლიბერალური პარტიის" თანამშრომლობის კონტურები გამოიკვეთა, თუმცა ოპტიმალური ფორმა მოსაძებნია. მისი თქმით, თანამშრომლობის სურვილი ორივე მხარემ გამოთქვა, როდესაც ნინო ბურჯანაძეს მიმდინარე კვირას "ლიბერალური პარტიის" თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი შეხვდა. ხმალაძე აცხადებს, რომ ბურჯანაძის მონაწილეობით თანამოაზრეთა გარკვეული ჯგუფი ჩამოყალიბდება, შესაძლოა მოძრაობის სახითაც, რომელიც შემდეგ გადაწყვეტს, რომელ პარტიასთან ითანამშრომლოს, ან რა ფორმით გამოვა საერთოდ საპარლამენტო არჩევნებზე. ვახტანგ ხმალაძე აცხადებს, რომ ამ გეგმის რეალიზებისთვის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილი პერიოდი მცირეა, მაგრამ საკმარისი. **პრაიმ-ნიუსი.**

# კონგრესი საქართველოს კარგი თვალით უყურებს

პირველი გვერდიდან

ჩვენ კმაყოფილნი ვართ იმით, რომ წრთვნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში მოგვეცა ქართულ არმიასთან თანამშრომლობის საშუალება. ამან საქართველოს შეიარაღებულ ძალებს საშუალება მისცა აქტიური როლი შეესრულებინათ პანკისის ხეობაში წარმოებულ ანტიტერორისტულ ოპერაციაში. თავის მხრივ, ამან მნიშვნელოვნად შეასუსტა რუსეთიდან მომავალი ზეწოლა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მომავალ ხელისუფლებას, მათ შორის შევარდნაძის შემცვლელს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები გამოავლენს. შევარდნაძეს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს ისტორიაში, თუ იგი უზრუნველყოფს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.

მეორე მხრივ, თუ არჩევნები არ იქნება თავისუფალი, ჩვენ გაგვიჭირდება საქართველოსთან ისეთი ურთიერთობების შენარჩუნება, როგორიც ამჟამად გვაქვს.

ჩვენ შეშფოთებულები ვართ იმ პრობლემებით, რომლებიც საქართველოში რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით არსებობს. გარდა ამისა, მუდმივად გვესმის საქართველოში გამეფებული კორუფციის შესახებ, რომელიც აფერხებს ქვეყნის განვითარებას.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს მთავრობაც შეშფოთებულია ამ პრობლემებით, მაგრამ რამდენად შეძლებს იგი მათ გადაჭრას, დრო გვიჩვენებს.



REUTERS

რიჩარდ არმიტიჯი

**- ბევრი ექსპერტი გამოთქვამს აზრს, რომ ერაყის ომის შემდეგ კავკასიის მნიშვნელობა ამერიკისათვის საგრძნობლად შემცირდება. რას იტყვით ამის შესახებ?**

- არ მესმის, როგორ შეგვიშლის ხელს ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარება იმაში, რომ ჩვენი მოვალეობები შევასრულოთ სხვაგანაც.

ამჟამად ჩვენ დაძაბული ვითარება გვაქვს ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ კორეაში, ავღანეთში, ლიბერიაში და ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ ჩვენ ამ პრობლემებით ჟონგლიორობა გვიწევს.

საქმე იმაშია, რომ ამ საკითხების გადაჭრაში ჩვენ ბევრი ქვეყანა გვიდგას გვერდში, რის გამოც, ჩვენი ტვირთი საგრძნობლად მსუბუქდება.

მოკლედ, ეჭვს, რომ სხვა პრობლემების გამო ამერიკის ყურადღება საქართველოს მიმართ შემცირდება, რეალური საფუძველი არ გააჩნია.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა აშშ-ს მომავალი წლის ბიუჯეტზე. თუ მას გადახედავთ, ნახავთ, რომ საქართველოს სათანადო სახსრები აქვს გამოყოფილი. კონგრესი საქართველოს კარგი თვალით უყურებს.

# ვის რამდენი ჩამოეჭრება?

პირველი გვერდიდან

შინაგან საქმეთა სამინისტროს 3 მილიონ 200 ათასი ლარი მოაკლდა, საიდანაც საბიუჯეტო შემოსავლებზე 2 მილიონ 100 ათასი ლარი მოდის.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტს 2 მილიონ 200 ათასი ლარი ჩამოაკლდა, დაზვერვის დეპარტამენტს კი - 300 ათასი ლარი.

"წმენდაში" სოლიდური თანხებით მოყვა სოფლის მეურნეობის სამინისტროც, რომელსაც 22 მილიონიანი ბიუჯეტი 5 მილიონით შეუმცირდა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, ბიუჯეტის კორექტირების შედეგად თავად ფინანსთა სამინისტრო, პრაქტიკულად, განადგურდა: **"ჩვენს ბიუჯეტში მხოლოდ ხელფასები იჯდა. მიუხედავად ამისა, შემცირებაში 6 მილიონამდე ლარით მოვყევით."**

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის განცხადებით, კანცელარიაში გუშინ საღამოს შესულ დოკუმენტს ხელი დღეს დილით მოეწერება. ისაკაძე იმედოვნებს, რომ მთავრობა პარლამენტის რიგგარეშე სესიისათვის მის წარდგენას ორშაბათის პლენარულ სხდომაზევე მოასწრებს.

მეორე თემა, რასაც გუშინ დილით მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა ყურადღება დაუთმო, მიმდინარე საპენსიო და სახელფასო დავალიანებების დაფარვის საკითხია. როგორც "24 საათს" სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ აცნობა, ამ დავალიანებების გასტუმრებას საქართველოს ხელისუფლება ორი თვის ვადაში აპირებს. დავალიანებათა გასტუმრების კონკრეტულად გაწერილ გრაფიკს ჯანდაცვისა და ფინანსთა სამინისტროებისგან კანცელარიაში მომავალ კვირაში ელიან. **"შესაბამისი გეგმა, რომლის მიხედვითაც ეს დავალიანება უნდა დაიფაროს, უახლოეს დღეებში შედგება,"** - განაცხადა თათბირის შემდეგ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ.

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დაგროვილი საპენსიო და სახელფასო დავალიანება მთლიანობაში 36 მილიონ ლარს შეადგენს. ამჟამად კი მარტის თვის საპენსიო თანხების გაცემა მიმდინარეობს.

# ფოთის მერი ჭავრს თავისუფალ მედიაზე იყრის

პირველი გვერდიდან

გასულ კვირას, უშუქობის გამო, თითქმის ყოველდღე მოსახლეობის მიერ ქუჩები იკეტებოდა, რამაც შენგელიასა და ქანთარიას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა. ქანთარიამ შენგელიას მოხსნა მოითხოვა, კანცელარიაში კი საკითხი ასე დასვა: ხალხს მიბუნტებს და ქუჩაში გამოჰყავს. ასე, ეს კაცი არჩევნებს წამაგებინებსო. პარალელურად კი მოსახლეობას ელექროენერგიის საფასურის არგადახდისკენ მოუწოდებდა.

ქანთარია ქალაქის მოსახლეობას, გადაუხდელობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას ჰპირდებოდა. აღნიშნული "ინტრიგა" ქანთარიამ შემოდგომში ჩვეული "მეთოდით" ახსნა - შენგელია ზოგიერთ ჟურნალისტთან მეგობრობას შეეწირაო. საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებულმა ქანთარიამ ეს განცხადება მთავრობის თათბირზეც გააკეთა. თუმცა, ვინ იგულისხმა მან "მეგობარ" ჟურნალისტში, უცნობია.

რეალურად, ისევე როგორც ყველა რეგიონში, მოსახლეობას და საბიუჯეტო ორგანიზაციებს დიდი დავალიანებები აქვთ და სწორედ გადაუხდელობის გამო არ მიეწოდება შუქი ქალაქს. თავად ქალაქის მთავრობისა და საკრებულოს დავალიანება 25 ათას ლარს შეადგენს, წყალსადენის - 245 ათასს, თავდაცვის სამინისტროს ობიექტების - 190 ათასს, ქალაქის საავადმყოფოს - 45 ათასს და ა.შ.

ენერგოფილიალის ხელმძღვანელი მერს "კორუფციის ნათლიმამას" უწოდებს და სკანდალურ განცხადებას აკეთებს: **"ქანთარიამ 15 ათასი დოლარის გადახდა მომთხოვა. როცა უარი მიიღო, მოხსნით დამემუქრა. მოგხსნი და ისეთ კაცს დავნიშნავ, რომელიც გადამიხდისო".**

ქანთარიამ "ალიას" ჟურნალისტის, ელისო ჯანაშიას მიერ კომენტარის მოთხოვნისას აღნიშნულ ბრალდებას მის მიერ "შეთითხნილი სიბინძურე" უწოდა, რასაც გინება და უშვერი სიტყვებიც მოაყოლა. სიტყვიერი შეურაცხყოფა ჟურნალისტის მიმართ მან იმავე საღამოს ქუჩაში შემთხვევით შეხვედრის დროსაც გაიმეორა.

აღნიშნულ ქმედებაზე, რომელიც მერის მხრიდან პირველი არ ყოფილა, პოლიციაში განცხადება შევიდა, ხოლო 10 ივლისს ფოთის დამოუკიდებელმა ჟურნალისტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მერიის შენობის წინ მდუმარე აქცია მოაწყვეს. აქციაზე ასეთი შინაარსის ლოზუნგები იყო წარმოდგენილი: "პრეზიდენტო, მოგვაშორე შანტაჟისტი და კორუმპირებული მერი", "შეწყდეს თავისუფალ ჟურნალისტებზე ზეწოლა", მოვითხოვთ ხულიგანი მერის დასჯას", "მოვითხოვთ მერის იმპიჩმენტს".

მსგავს აქციებს ჟურნალისტები მომავალშიც გეგმავენ. ასე რომ, ქანთარიას შენგელიას ბრალდებაზე და ჟურნალისტის შეურაცხყოფაზე სერიოზული პასუხის გაცემა მოუწევს.

ცნობისათვის: ქანთარიას ფულის გამოძალვაში უკვე მეორედ ამხელენ. თავის დროზე, ვიცე-მერს ირაკლი მოწერელიას თანამდებობის შენარჩუნებაში 20 ათასი დოლარი მოსთხოვა, რომელიც, სავარაუდოდ, ფოთში საკადრო პოლიტიკის წარმმართველის ჯიბეში უნდა წასულიყო.

# აშშ საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწყობას დააფინანსებს

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის, დავით თარხან-მოურავისა და საქართველოში ევროსაბაჟოს რეზიდენტი მრჩეველის, მანფრედ ზუმერედერის ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა. პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა ევროსაბაჟოსთან თანამშრომლობის დადებითი ასპექტები, ერთობლივი მუშაობით მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები.

2002 წლის ოქტომბრიდან ევროკომისია, "ტასისის" მეშვეობით, ახორციელებს 18-თვიან პროგრამას - "საბაჟო კანონმდებლობის იმპლემენტაცია და საქართველოს საბაჟო სამსახურის შესწავლა". პროგრამის ღირებულებაა 850 ათასი ევრო. პროგრამა ორი მიმართულებით მუშაობას გულისხმობს - საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროპის სტანდარტებთან მიახლოება და მართვის საკითხების სრულყოფა. ევრსაბაჟოსთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში საბაჟო დეპარტამენტი განაგრძობს რეფორმას სამი - ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნოლოგიური მიმართულებით.

ტექნოლოგიური რეფორმის ფარგლებში აშშ-ს მთავრობა თანახმაა, დააფინანსოს წითელ ხიდსა და ყაზბეგში თანამედროვე სტანდარტების საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწყობა. საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმაციით, ამ ორი პუნქტის მშენებლობის დასრულება 2004 წლის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. დავით თარხან-მოურავის განცხადებით, ასევე, შემუშავების პროცესშია თანამედროვე სტანდარტების დონეზე საკონტროლო-გამშვები პუნქტის მოწყობის გეგმა სადახლოში. აღნიშნული პუნქტის მშენებლობა, სავარაუდოდ, 2005 წლის ბოლოსთვის დასრულდება. წითელ ხიდზე საბაჟო პუნქტის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოს დაიწყება. საკონტროლო-გამშვები პუნქტების გარდა, 2004 წლის ბოლოსთვის დაგეგმილია საბაჟო ლაბორატორიის, კომპიუტერული ქსელისა და მონაცემთა ბაზის შექმნაც. თარხან-მოურავის განცხადებით, აშშ-ს მთავრობამ ლაბორატორიის მშენებლობის დაფინანსებაზეც განაცხადა თანხმობა. **"საბაჟო ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით მხარდაჭერას დაგვპირდა საფრანგეთის საბაჟო დეპარტამენტიც, რაც სპეციალისტების გამოგზავნით გამოიხატება",** - განაცხადა თარხან-მოურავმა.



დავით თარხან-მოურავმა და მანფრედ ზუმერედერმა საზოგადოებას საქართველოს საბაჟოს მოდერნიზების გეგმა წარუდგინეს.

ევროსაბაჟოს სპეციალისტებმა უკვე დაასრულეს საქართველოს ახალ საბაჟო კოდექსზე მუშაობა, რომელიც პარლამენტში განსახილველად, სავარაუდოდ, შემოდგომაზე შევა. მანფრედ ზუმერედერის განცხადებით, ევროკომისია მზადაა, გააგრძელოს პროგრამა, რომელიც მეორადი საბაჟო კანონმდებლობის დახვეწას ითვალისწინებს.

საბაჟო დეპარტამენტმა სავალუტო ფონდს წარუდგინა თავისი წინადადებები, რომელიც ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს ნაწარმის იმპორტზე ტენდერის გამოცხადებას ეხება. ეს იმას ნიშნავს, რომ ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს ნაწარმის იმპორტის უფლება მხოლოდ ტენდერში გამარჯვებულებს მიეცემათ.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, განიხილება საბაჟო დეპარტამენტის სპეცსამსახურად გადაკეთების ვერსიაც. ჩამოყალიბდება უწყება, რომელსაც სამძებრო-ოპერატიული ფუნქცია დაეკისრება და მთლიანად დაეფუძნება საკონტრაქტო პირობებზე. თარხან-მოურავის თქმით, ეს ვერსია, ჯერჯერობით, მხოლოდ იდეის დონეზეა.

## ორი სიტყვით

**ზუგდიდი.** ზუგდიდში მომხდარ აფეთქებას 22 წლის თამაზ ჯალაღონიას ჯანმრთელობა ემსხვერპლა. ჯალაღონიას ხელყუმბარა საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ჯერჯერობით დაუდგენელ პირობებში აუფეთქდა. მშობლებმა დაზარალებული ზუგდიდის ცენტრალურ საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც მას ხელისა და ფეხის ამპუტაცია გაუკეთდა.

გარდა ამისა, ახალგაზრდას დაზიანებული აქვს მუცლის არე. მედიკოსთა მონაცემებით, ოპერაცია ნორმალურად ჩატარდა, მაგრამ ავადმყოფის მდგომარეობა, ჯერჯერობით, მძიმეა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ვენა.** "ეუთო საქართველოს 2 ნოემბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების მომზადებაში დაეხმარება, თუმცა მოცემულ ეტაპზე ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობის ფორმებზე საუბარი ნაადრევია", - განაცხადა ეუთოს კონფლიქტების აცილების ცენტრის ოფიციალურმა წარმომადგენელმა იაროსლავ პეტრუსევიჩმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს შენობაში მოშიმშილე "ნაციონალები" პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ როსტომ დოლიძემ მოინახულა. მისი თქმით, მოშიმშილეთა მოთხოვნები გარკვეულწილად კანონზომიერია და პარლამენტი აუცილებლად უნდა ჩაერთოს მათ სამართლებრივ მოგვარებაში. საგულისხმოა, რომ მედიკოსთა მტკიცებით, რამდენიმე მოშიმშილის მდგომარეობა უკვე საკმაოდ რთულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება აქტიურად ემზადება 30 სექტემბერს „დამოუკიდებლობის" ათი წლის იუბილეს აღსანიშნავად. ამ დღეს დაგეგმილია სოხუმში არსებული სასტუმროების - „აფხაზეთის", „ტყვარჩელის" და „რიწას" საზეიმო გახსნა, რომლებშიც ახლა თურქული ფირმები ინტენსიურ სარემონტო სამუშაოებს აწარმოებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თუ პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე პოლიტიკური ძალები ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს დასვამენ, ფრაქცია „აღორძინება" მის მხარდაჭერას არ აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის ე.წ. თავდაცვის სამინისტრო უარყოფს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულმა ემზარ კვიციანმა აფხაზურ მხარეს შესთავაზა ხეობაში დაპირისპირებულ მხარეთა დაშორიშორების ზოლის ერთობლივი გაკონტროლება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის მიერ 16 ივლისიდან მოწვეული პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დღეს 12.00 საათზე განახლდება. პარლამენტი კენჭისყრაზე დააყენებს "საარჩევნო კოდექსში" შესატან ცვლილებებსა და ყველა დონის საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესს. დღესვე ფინანსთა სამინისტრო პარლამენტს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრის პროექტს წარუდგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს 6-კაციანი დელეგაცია ეწვევა. დელეგაციას რუსეთის ფედერალური საკრებულოს სათათბიროს ვიცე-სპიკერი ვლადიმერ ლუკინი უხელმძღვანელებს. დელეგაციას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიღებს. დაგეგმილია ასევე რუსი სტუმრების შეხვედრები საქართველოს პარლამენტის ყველა ფრაქციის ლიდერთან, სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესთან და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ პარლამენტისთვის მეტად "მძიმე, მაგრამ აუცილებელია", არ გაითვალისწინოს "აღორძინებისა" და "მრეწველების" პოზიციები ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების საკითხთან დაკავშირებით. მისი თქმით, კრიტიკულ მომენტში ამ ორი პარტიის ინტერესები ყოველთვის რუსეთისას ემთხვევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "გაერთიანებული დემოკრატები" ავტომანქანების პრივილეგირებული სანომრე ნიშნების "პრივილეგირებული კასტის" წარმომადგენელთათვის გაცემის წინააღმდეგ ილაშქრებენ. "დემოკრატები" პარლამენტისგან აღნიშნულ საკითხზე რეაგირებას მოითხოვენ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ ყველა კონკრეტული ფაქტის შესწავლა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სამინისტროს ახლად შექმნილი გენერალური ინსპექციის პირადი შემადგენლობისთვის სემინარების ჩატარების მიზნით დღეს საქართველოში აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკები - ბრუს ბრანტი, სტივენ უილსონი და ფორესტ ნიუტონი ჩამოვლენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგაზაფხულო გაწვევის ვადა 27 აგვისტოს იწურება. თვენახევრის განმავლობაში გეგმური 7,6 ათასი წვევამდელის ნაცვლად, გაწვეულია მხოლოდ მესამედი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის თავმჯდომარეობით სოხუმში გაიმართა მორიგი შეხვედრა, რომელზეც ქართულმა და აფხაზურმა მხარემ – საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ და სოხუმის ხელისუფლების საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი შამბამ დაადასტურეს, რომ სურთ განაგრძონ ინტენსიური მუშაობა „ნდობის აღდგენისათვის". **მედია-ნიუსი.**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ნიკა ლომინაძის მკვლელობა

პირველი გვერდიდან

სოფიკო ჩხაიძე

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეს გახლავთ "AES თელასის" ბლანკზე, ამავე ორგანიზაციის ბეჭდითა და მაღალი თანამდებობის პირების ხელმოწერებით დამშვენებული წერილები. ამ დოკუმენტების მიხედვით, საქართველოში დისლოცირებულ რუსეთის ჯარების შტაბს 2,5 მილიონი ლარის ანგარიშსწორება უნდა ეწარმოებინა კერძო ფირმებთან. ერთი წერილის თანახმად, 1,5 მილიონი ლარის ადრესატი უნდა ყოფილიყო "ორლანდო ჰოლდინგ კორპორეიშენი", მეორე წერილის მიხედვით კი, 1 მილიონი ლარი "იბერია პრაიმ კაპიტალის" ანგარიშზე უნდა დამჯდარიყო. თანხა ფირმების ანგარიშებზე მართლაც დაჯდა და... გაქრა. "AES თელასის" წერილების საფუძველზე გადარიცხული და დაკარგული ეს 2,5 მილიონი ლარი, საბოლოოდ, ნიკა ლომინაძის მკვლელობის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო და თაღლითობის მუხლით აღიძრა ახალი საქმე. [illegible] "AES თელასის" თანამდებობის პირთა ხელმოწერები იმ წერილებზე, რომელთა საფუძველზეც რუსეთის ჯარების შტაბმა მილიონების ადრესატებთან ანგარიშსწორება "შეძლო".

ძიების ამჟამინდელი [illegible] მილიონების გაქრობის გამო აღძრული საქმის გამომძიებელმა მერაბ გვილავამ ასე აგვიხსნა: **"თითოეული დოკუმენტის მოპოვებას საკმაოდ დიდ დროს ვანდომებთ, მით უმეტეს, თუ ეს დოკუმენტი "AES თელასიდანაა" ამოსაღები. ძალზე გაგვიჭირდა "AES თელასიდან" რუსეთის ჯარებისადმი გაგზავნილი წერილების ორიგინალების მოპოვება, ასლებს კი, ცხადია, გრაფოლოგიურ ექსპერტიზაზე ვერ გავაგზავნიდით. დამერწმუნეთ, ეს ექსპერტიზა აუცილებლად ჩატარდება, თანაც უახლოეს მომავალში, უბრალოდ, შედარებისთვის რამდენიმე ადამიანის ხელმოწერის ნიმუშიც დაგვჭირდა მოსაპოვებელი".**

ერთი, რისი თქმაც დღესდღეობით გამოძიებას დანამდვილებით შეუძლია, ის გახლავთ, რომ ეს წერილები ე.წ. "შერჩევით ნომრებით" არის გატარებული, ანუ თვით "AES თელასის" დოკუმენტბრუნვაში იმავე ნომრების მქონე სულ სხვა საბუთები ფიგურირებს. [illegible]

**"ცხადია, ვარაუდების დონეზე ხალხს ვერ დავაპატიმრებ, ამისთვის შეუვალი მტკიცებულებები მჭირდება. თუ ასეთი გამოჩნდა, დამერწმუნეთ, მე კომპრომისზე არ წავალ და დავიჭერ ყველა იმ პირს, რომლის ბრალეულობაც საქმის ძიებისას გამოიკვეთება"**, - გვპირდება მერაბ გვილავა, რომლის ვრცელ კომენტარებს მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ. ახლა კი იმის თაობაზე მოგახსენებთ, როგორ დაიკარგა 2,5 მილიონი ლარი.

### მოულოდნელად გამოაშკარავებული აფიორა

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სხვადასხვა ორგანიზაციებს ერთმანეთის ვალი დაუგროვდათ: რუსეთის ჯარების შტაბს - "AES თელასის", "AES თელასს" - საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის, ბაზარს – თბილსრესის. მართალია, ვალების ოდენობა სხვადასხვა გახლდათ, მაგრამ შეთანხმება - მხოლოდ და მხოლოდ ზეპირი - მაინც ადვილად დაიდო და, პოპულარულ ენაზე რომ ვთქვათ, მოხდა ვალების ჩვეულებრივი გადაბარება, საქმიან წრეებში ამას ჩათვლების განხორციელებას უწოდებენ. შედეგად კი რუსეთის ჯარების შტაბს, რომელსაც ამ პერიოდისთვის "AES თელასის" 900 ათას ლარზე ცოტა მეტი მართებდა, [illegible] თბილსრესისთვის 2,5 მილიონი ლარის გადახდა დაევალა. [illegible] თბილსრესის ანგარიშზე. შტაბმა კი 2,5 მილიონიანი ანგარიშსწორება მართლაც მოახდინა, ოღონდ არა თბილსრესის, არამედ ორი კერძო ფირმის - "ორლანდო ჰოლდინგ კორპორეიშენისა" და "იბერია პრაიმ კაპიტალის" ანგარიშზე. პირველს 1,5 მილიონი ხვდა წილად, მეორეს - 1 მილიონი. რატომ?

[illegible] "AES თელასიდან" [illegible] წოდების შეწყვეტით შეძლეს.

დაიწყო მოლაპარაკებები. სწორედ ამ მოლაპარაკებების დროს გამოჩნდა წერილები, უფრო სწორად, მიმოწერა "AES თელასსა" და ჯარების შტაბს შორის. ამ მიმოწერის უდიდეს ნაწილს დღეს ორივე მხარე ყალბად მოიხსენიებს. თუმცა, ამ წერილების შესახებ ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ, ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ სამმხრივი მოლაპარაკებების დროს (საბითუმო ბაზარი მათში მონაწილეობას არ ღებულობდა) რუსები თანხის ხელახლა გადახდაზე დაითანხმეს. ახლა უკვე წერილობითი, სამმხრივი ხელშეკრულება დაიდო, ფაქტობრივად, კაბალური რუსი სამხედროებისთვის. თუმცა, ამ უკანასკნელთ, ნაცვლად იმისა, რომ თავიანთი სიმართლე (ასე რომ ყოფილიყო) სასამართლოს ძალით ემტკიცებინათ, ხელშეკრულებასაც მოაწერეს ხელი და ერთხელ უკვე გადახდილი თანხის ხელმეორედ, ახლა უკვე ეტაპობრივად გადახდას შეუდგნენ. ხელშეკრულების დადების შემდეგ განხორციელდა ჩათვლებიც. ერთი შეხედვით, ყველა კმაყოფილი გახლდათ.

რუსეთის ჯარების შტაბს ხელშეკრულების საფუძველზე თბილსრესისთვის თანხის ეტაპობრივი გადახდა უკვე დაწყებული ჰქონდა, როდესაც "AES თელასმა" რუსეთის სამხედრო უწყებას დაქვემდებარებულ ყველა ობიექტს დენის მიწოდება შეუწყვიტა. ამ ბრძანების ავტორი "AES თელასის" კომერციული დირექტორი ნიკა ლომინაძე გახლდათ. მას ამის გამო ჯერ საკუთარმა თანამშრომლებმა, მერე კი რუსეთის ჯარების შტაბის წარმომადგენლებმა მიაკითხეს [illegible] აძლევს და უხვადაც მოეძებნებათ თავისსამართლებელი არგუმენტები, რომელთა წონიანობაზეც თავად შეგიძლიათ იმსჯელოთ "24 საათის" შემდგომ ნომრებში გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე.

### როგორ მოეპარათ მილიონები?

[illegible]


JOINT-STOCK COMPANY "AES TELASI"
სააქციო საზოგადოება „აი-ი-ეს თელასი"

ყალბი წერილი, რომლითაც "იბერია პრაიმ კაპიტალმა" მილიონი ლარი მიიღო.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საერთაშორისო ენერგოკომპანია „იტერამ" სს „თბილგაზს" ივნისის თვეში მიწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის - 708 ათასი აშშ დოლარის გადაუხდელობის გამო, ბუნებრივი აირის მიწოდება გაუნახევრა. ამჟამად თბილისი 150 ათას კუბურ მეტრ აირს იღებს. "თბილგაზში" აცხადებენ, რომ უახლოეს დღეებში დედაქალაქის მოსახლეობა ბუნებრივი აირის დეფიციტს ვერ იგრძნობს, რადგან „თბილგაზი" ბუნებრივ აირს საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციისგან მიიღებს. მიმდინარეობს "იტერასთან მოლაპარაკება. ამ დროისთვის ბუნებრივი აირი მხოლოდ დედაქალაქის ისან-სამგორის რაიონს, ჯავახეთის ქუჩაზე მომხდარი ავარიის გამო, არ მიეწოდება. ავარიის ლიკვიდაცია დღეისთვის მოხერხდება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** კომპანია „ზებრატელეკომმა", რომელიც საქართველოსთან სატელეფონო კავშირს და ინტერნეტით მომსახურებას უზრუნველყოფს, სატელეფონო საუბრების ტარიფი შეამცირა. რუსული საინფორმაციო წყაროების ცნობით, თბილისთან საერთაშორისო საუბრების ერთი წუთი, 0.16 დოლარის ნაცვლად, 0.12 დოლარი ღირს. საქართველოს სხვა ქალაქებთან დაკავშირება 0.18 დოლარიდან 0.14 დოლარამდე შემცირდა. ამ განაცხადის გამოქვეყნებამდე ახალი ტარიფები მოქმედებს შეძენილ სატელეფონო ბარათებზე. მობილური სატელეფონო კავშირის მომსახურებაზე ტარიფები არ შეცვლილა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეს 15 გადამცემის გამოყენების შესაძლებლობა მიეცემა. რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის საწყისი ფასი განსაზღვრულია 68.789 ლარით. კონკურსში გამარჯვებული 26 სექტემბერს გახდება ცნობილი. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ქუთაისი.** "საქგაზის" გადაწყვეტილებით, ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობის გამო, "ზესტაფონიგაზს" ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმმა "ქეა ინტერნეიშენალმა" წალკის, ადიგენის, ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის სოციალური ინვესტირების პროგრამის ფარგლებში ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა განსაზღვრა. ამ ოთხი რაიონის სხვადასხვა სოფელში იგეგმება სასმელი წყლის სისტემების აღდგენა, გზების შეკეთება, ამბულატორიების რემონტი, სატელევიზიო ანძების დამონტაჟება და საირიგაციო სისტემების მოწყობა. "ქეა ინთერნეიშენალს" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის სოციალური ინვესტირების პროგრამის განხორციელებისათვის 2,5 მლნ. დოლარი აქვს გამოყოფილი. **ინტერ-პრესი**

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს იმერეთის რეგიონში ბატონ თემურ შაშიაშვილს

**თბილისი, 2003 წლის 21 ივლისი.**

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში, ოთხსაათიანი შეხვედრის შემდეგ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულ იქნა მცირე პროგრესი, თუ კი ამას შეიძლება პროგრესი ვუწოდოთ. საქართველოს ენერგოსექტორი გმობს იმერეთის რეგიონში არაუფლებამოსილი პირების მიერ მაღალი ძაბვის ქვესადგურებზე განხორციელებულ უკანონო და სახიფათო თავდასხმას. მაღალი ძაბვის ქვესადგურები უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტებია, ამიტომ ამ ობიექტებზე თვითნებური შეჭრა ქვეყნის უსაფრთხოებას დიდი საშიშროების წინაშე აყენებს, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და სისხლის სამართლის დანაშაულია. აღნიშნული დანაშაულის ჩამდენნი გასამართლდებიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რადგან შემდგომში აღკვეთილ იქნას მსგავსი ფაქტები. იმერეთსა და ზუგდიდის ინციდენტების შემდეგ ენერგოსექტორის სუბიექტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, ქვესადგურებზე თავდასხმის შემთხვევაში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აღნიშნული ქვესადგური მთლიანად გაითიშება მაღალი ძაბვის ქსელიდან.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა ქვეყნის ენერგოსექტორს, ზამთრის პერიოდში, გამოუსწორებელ მდგომარეობამდე მიიყვანს. ენერგოსექტორი რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლის გაუმჯობესების გარეშე ფუნქციონირებას ველარ შეძლებს. სიტუაციის გაუარესების მიზეზი მარტივია - გამანაწილებელი ენერგოკომპანიებისადმი (და „AES"-დმი) და მათი რეგიონული ფილიალებისა და მომხმარებლის მხრიდან თანხების გადაუხდელობა და შესაბამისად, ამ გამანაწილებელი კომპანიებისა და სხვა მსხვილი მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის საფასურის არ გადახდა საბითუმო ბაზრის ტრანსფერტულ ანგარიშზე. რის გამოც, სესბ-ს ენერგოსექტორისადმი უამრავი გასასტუმრებელი ვალდებულება დაუგროვდა. სისტემა სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებს, რომლის განხორციელებაც არსებული ფინანსური დეფიციტის ფონზე თითქმის შეუძლებელია. წლების განმავლობაში ამორტიზებული დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა კი ხშირად ავარიებსა და სისტემაში ფორსმაჟორულ მდგომარეობას იწვევს. ენერგოსექტორში ფინანსების მობილიზება და სადამსჯელო ზომების გატარების აუცილებლობა წარმოშვა აგრეთვე, გენერაციის ობიექტებისა და მომსახურე პერსონალისადმი ხელფასების გაცემისა და სახელფასო დავალიანების გასტუმრების აუცილებლობამ და, რაც ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია, შემოდგომა-ზამთრის პროგრამამ. გასასტუმრებელია მეზობელი ქვეყნებისადმი არსებული დავალიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზამთრის პერიოდში, ენერგოსექტორი დეფიციტის შევსებას, რაც უდავოდ წარმოიშობა ზამთარში, იმპორტირებული ენერგიით ველარ შეძლებს. თუ წყალსაცავები დაიცლება და თანხა არ შეგროვდება, ვერ მოხერხდება ვერც ელექტროენერგიის იმპორტი და თბილელექტროსადგურებისათვის ბუნებრივი აირის შესყიდვა.

იმ შემთხვევაში, თუ არსებული ტენდენცია არ შეიცვლება, დამდეგი შემოდგომა-ზამთარი გაცილებით რთული იქნება, ვიდრე ეს წარსულში იყო. წინასწარი მონაცამებით, ზამთრის პერიოდში, სისტემაში დეფიციტის მაღალი მაჩვენებელი - 35%-ის მოსალოდნელი. ამ დეფიციტის შევსება კი ელექტროენერგიის იმპორტით უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის მაშტაბით ელექტროენერგიის მიწოდების მკაცრი გრაფიკის დაწესება გარდაუვალი იქნება. არსებულ პირობებში, საქართველოში ელექტროენერგია 8 საათით გაითიშება, მიუხედავად იმისა , გადამხდელია თუ არა მომხმარებელი. დაგვეთანხმებით, რომ ენერგოსექტორის სუბიექტებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ, რათა აღნიშნული სიტუაცია საქართველოს მოსახლეობას ავაცილოთ. გატარებული შეზღუდვებისა და გათიშვების პროგრამა, რომელსაც თქვენ ესოდენ ეწინააღმდეგებით, ამ ზომებიდან ერთ-ერთი და მნიშვნელოვანია. **საქართველოს ელექტროსექტორი ნგრევას გააგრძელებს მანამდე, სანამ არ მოხდება რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურის სრული და დროული ანაზღაურება.**

სამწუხაროდ, ჩვენთვის დღემდე უცნობია თქვენ მიერ წარმოდგენილი პროგრამა, რომელიც მოსახლეობიდან ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელს გააუმჯობესებდა. თქვენი უარყოფითი დამოკიდებულება, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ განხორციელებული შეზღუდვებისა და გათიშვების პროგრამის მიმართ კიდევ უფრო დაამძიმებს არსებულ სიტუაციას და ამ სიტუაციის გამოსწორებისადმი მიმართულ პროცესს კიდევ უფრო მტკივნეულსა და ხანგრძლივს გახდის. თქვენი მხრიდან თანამშრომლობა შეამოკლებს შეზღუდვების მიმდინარე პროცესს და ის სიძნელეები, რომლებიც იმერეთის მოსახლეობას ელექტრომომარაგების კუთხით შეექმნათ, თავიდან იქნება აცილებული.

გვერწმუნეთ, რომ საქართველოს „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", „სახელმწიფო ელექტროსისტემა" და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი მხარს დაუჭერს თქვენს ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც დაეყრდნობა პრინციპს - ელექტროენერგია აღარ შეიძლება იყოს უფასო მოხმარების საგანი.

თქვენ მიერ საზოგადოებისადმი სწორი მაგალითის მიცემით დიდ წვლილს შეიტანთ სტაბილურობისა და ეროვნული ინტერესების დამყარების პროცესში.

**პატივისცემით:**

| | |
|---|---|
| ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი | *ალბერტო სოლისი* |
| გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორი | *დავიდ სორტონი* |
| საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის გენერალური დირექტორი | *ჯო კორბეტი* |

P.S.

### საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს

### განცხადება

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის აღმასრულებელი საბჭო მხარს უჭერს სესბ-ის, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ქმედებებს, რაც მიმართულია ენერგოსისტემისადმი სასიცოცხლოდ აუცილებელი თანხების მობილიზაციისა და ელექტროენერგიის მფლანგველობითი მოხმარების აღკვეთისაკენ.

ეხმიანება რა ენერგოსექტორში მიმდინარე პროცესებს, საბჭო ღიად გამოხატავს თავის უარყოფით პოზიციას კანონსაწინააღმდეგო პროცესების მიმართ, რაც გამოიხატება პოლიტიკური და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების მხრიდან სექტორის პროფესიულ საქმიანობაში უხეში ჩარევით. ამავე დროს, საბჭო თხოვნით მიმართავს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა მხარი დაუჭირონ სექტორის გაჯანსაღების მიზნით მიმდინარე ქმედებებს, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქვეყნის ენერგეტიკისა და მთლიანად ეკონომიკის აღმავლობის პროცესში.

## პრესომბუდსმენი

# მომავალ ორშაბათამდე

**ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge**

ნოდარ ლადარია

გასულ კვირას მოსკოვში გახლდით. ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ქართული ოფისის ხელშეწყობით თბილისიდან წარგზავნილი დელეგაცია რუს არასამთავრობოებს შეხვდა. სხდომათა შორის შუალედში ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, **ლევან ბერძენიშვილმა** მითხრა: "ჩვენს შორის დიდი განსხვავებაა. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოებაზე გავლენა გვაქვს, მათ კი — არა". ნათქვამის ჭეშმარიტება დღესავით ნათელი იყო, მაგრამ მაინც ჩავფიქრდი: ნეტა რა მიზეზით უნდა ჰქონდეთ ქართველ არასამთავრობოებს საზოგადოებაზე გავლენა? ჩვენი სოციუმის მცირერიცხოვნება და ქართველების კომუნიკაბელობა, რა თქმა უნდა, საკმაოდ ძლიერ ფაქტორებად მეჩვენებოდა, მაგრამ სურათის სისრულეს რაღაც აკლდა. ბოლოს და ბოლოს, როცა დაბრუნებისას "აირზენას" თვითმფრინავში ქვასავით მაგარი პურისა და რეზინივით ელასტიური ძეხვისგან შემდგარი საუზმის წინ "24 საათის" ორშაბათის ნომერი მომაწოდეს, ამოცანის ამოხსნაც თვალნათლივ დავინახე. სნობიზმი! ჩვენს საზოგადოებაში საყოველთაოდ გამეფებული სნობიზმი! — აი, მესამე სექტორის გავლენიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოში.

ჩვენც ვნახოთ: ჯერ ხომ პირველივე გვერდზე დამაფეთა ფოტოს მინაწერმა: "**თანხმობის მოედანი. აქ ერთ დროს ბასტილიის ციხე იდგა**". ბასტილიის ციხე პარიზის სულ სხვა ადგილას იდგა, მაგრამ აქ შეიძლება უბრალო შეცდომასთან გვქონდეს საქმე. სნობიზმის ლაბორატორიულად წმინდა ნიმუში ბოლო გვერდზე მელოდებოდა: **გურამ ნავროზაშვილი**, 14 ივლისი, *კინო რუსთავი-2-ზე*. თითქოსდა სულ უბრალო რამ უნდა იყოს — კვირის განმავლობაში რუსთავი-2-ის საღამოს ეთერში გათვალისწინებული კინოფილმების ანონსი. მაგრამ საქმე სულაც არაა წარმოდგენილი უბრალოდ: "**მაიკლ უინტერბოტომის დახვეწილ კინოსაგას, "ჯუდი", ალბათ კინოინტელექტუალებიც არ გამოტოვებენ. აკრძალული სიყვარული, დამსხვრეული ოცნებები, ინცესტი, XIX საუკუნის ბრიტანული ყოფა და თხრობის იგავური მანერა რაღაცით ჰესეს ნაწარმოებების ასოციაციებსაც იწვევს**". ნეტა რომელ თხზულებაში აღწერა ჰერმან ჰესემ XIX საუკუნის ბრიტანული ყოფა? ან აკრძალული სიყვარულით და (ჯვარი აქაურობას!) ინცესტით როდის იყო გატაცებული ეს მწერალი? ან იქნებ ჰესეს მხოლოდ თხრობის იგავური მანერა მოგვაგონებს? — მაშინ წინადადებაც შესაბამისად უნდა ავაგოთ და თუ ეს არ შეგვიძლია, თავი შევიკავოთ ინტელექტუალური ექსკურსებისგან. ჩვენც უფრო გავუგებთ ავტორს და მხოლოდ იმაზე გაგვეღიმება, რომ იგი "რონინის" ხმოვან ეფექტებს გვახარბებს, რომელთა ხიბლით ტკბობა ქართველი მსახიობების უკვე ჩვეული და საკმაოდ უფერული ხმების მილმა მოგვიხდება.

სხვათა შორის, საქონლის ქება-დიდება მომხმარებლის მისაზიდი ერთადერთი საშუალება როდია. საქართველოში ეს ჯერ "რადიო 105"-ის, შემდეგ კი "რადიო 101"-ის სარეკლამო ტრადიციებმა გვიჩვენა, თუმცა კი ამ ყოველივეს ერთგვარი სიტლანქე დაჰკრავდა. სასურველი იქნება, თუ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი ანონსები და სარეკლამო ხასიათის ტექსტები ცალსახად და უხეშად სწორხაზოვანი არ იქნება. შევძლებთ თუ არა სარეკლამო დისკურსში მსუბუქი ირონიის შეტანას, როგორც ამას ასე ელეგანტურად ახერხებს, მაგალითად, რუსული პრესა? მაგრამ ამისათვის სწორედ რომ სნობიზმის დაძლევაა საჭირო, რადგან სნობს ორი ძირითადი თვისება გამოარჩევს დანარჩენი კაცობრიობისაგან: აეტმასნოს და არ აწყენინოს. ვის? — ვის და ყველას: მთავრობასაც და "არამთავრობასაც". ხომ გინახავთ ორ სხვადასხვა ბანაკში განაწილებული მამა-შვილი? გგონიათ თაობათა შორის ბრძოლას აკვირდებით? არა, თქვენი ჭირიმე, უბრალოდ, საარსებო სივრცის უდიდეს არეს ინაწილებენ სნობები. შიგადაშიგ ერთმანეთთან სანიმუშო-საჩვენებელ ჩხუბში ირთობენ თავს, სინამდვილეში კი კონფორმიზმისგან და ანტიკონფორმიზმისგან შემოსული დივიდენდები ერთ საოჯახო ბიუჯეტში იყრის თავს.

ჰოდა, განა საკვირველი უნდა იყოს ამის შემდეგ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის საპოვნელად ქართველებს კაცობრივი ძალები არ ეყოფათ და ზეგარდმო ძალთა დახმარება სჭირიათ? აი, **ვერიკო თევზაძის** სტატია: ღრმად პატივცემული ქართველის ძიებაში (15 ივლისი), რომელშიც ვკითხულობთ: "**ნათელაშვილის იდეა-პროექტის მიხედვით, ცესკო-ს თავმჯდომარის, ანუ "ღრმად პატივცემული ქართველის" კანდიდატურას — დეპოლიტიზირებულ სამოქალაქო პირს — წარმოადგენს ყველა მსურველი ... შემდეგ წმინდა სინოდი განიხილავს წარდგენილ კანდიდატთა საკითხს და მათგან ყველაზე "პატივცემულს" "აკურთხებს" (დიახ, გამოთქმა "აკურთხებს" მოიშველია ნათელაშვილმა)**". მაინც რა საჭიროა ასეთი საკრალიზაცია? ნათელაშვილს პასუხიც გაუცია ამ შეკითხვაზე: "**ოთხფრთიანი ანგელოზიც რომ იყოს (ორი ფრთა, რასაკვირველია, საკმარისი აღარ იქნება), დარწმუნებული ვარ, მის წინააღმდეგ შავი პიარი ამუშავდება**". გარდა იმისა, რომ ნათელაშვილი ანგელოლოგიაში ვერ ერკვევა, მას, ალბათ, ისიც ჰგონია, თითქოს ეკლესიას "შავი პიარის" წინააღმდეგ რაღაც განსაკუთრებული ეგზორცისტული ლოცვა ჰქონდეს. ჩვენ კი საქმე უფრო მარტივად წარმოგვიდგენია: ისევ მშობლიური სნობიზმი მოქმედებს. აბა, როგორ იტყვის ქართველი ხმამაღლა: აი, კაციო! — სხვა კაცებს ხომ ეწყინებათ, მათთან ურთიერთობის, მათ გვერდით გამოჩენის შანსიც ხომ ერთბაშად შემცირდება.

არჩევის საშუალება ამ დროს ეკლესიას გადაეცემა. ეს ბუნებრივია: საზოგადოების განკარგულებაში აუცილებლად უნდა იყოს რაღაც ინსტანცია, რომელიც აუღებელ ზნეობრივ სიმძიმეს იტვირთებს. სამწუხაროა, რომ პატივცემული და, უბრალოდ, პატიოსანი ადამიანის არჩევა და დამტკიცება ჩვენთვის მართლაც აუღებელი ზნეობრივი სიმძიმე აღმოჩნდა...

ვისაც ჩემი მსჯელობის დამაჯერებლობა არ დააკმაყოფილებს, გაიხსენოს, რომ "ქართველ ფილოსოფოსთა ბიოგრაფიულ ლექსიკონში" არც ერთი ცოცხალი მოაზროვნის გვარი არაა შეტანილი.

## მოკლედ

### რუსთავის კოლონიაში პატიმართა გაქცევა ჩაიშალა

გუშინ დილით რუსთავის მეორე კოლონიის თანამშრომლებმა პატიმრების მიერ გათხრილი გვირაბი აღმოაჩინეს. სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, სამმეტრიანი სიღრმის გვირაბის გათხრაში ტუსაღები - ზურაბ ღვინიაშვილი, სიმონ აბაჯიანი, პაატა ბაშარაძე, ხვიჩა ლაბაური, რომან კოშაძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ალექსი დიმიტრიშვილი, გიორგი შოშიაშვილი, იური თაყნიაშვილი, ზვიად ბაცანაძე და რამაზ გიქორაშვილი არიან ეჭვმიტანილები.

პატიმრებს, თუკი გაქცევის მცდელობა დაუმტკიცდებათ, ჩადენილი ახალი დანაშაულისთვის სასჯელის ვადა დაემატებათ.

გარემოებების გამოსაძიებლად თბილისიდან რუსთავში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის განყოფილების თანამშრომლები გაემგზავრნენ. ბოლო ორი თვის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან სულ 6 გაქცევა განხორციელდა, მათ შორის 4 – ჯგუფური. გაქცეულია 50-მდე საშიში პატიმარი, მათგან 10-ზე მეტი დააკავეს.

### სამხედრო პროკურორი ომბუდსმენისგან ბრალდებების საჭაროდ უარყოფას აღარ მოითხოვს

დღეს საოლქო სასამართლოში მთავარ სამხედრო პროკურორს გია ჯიქიასა და სახალხო დამცველს ნანა დევდარიანს შორის დაწყებული სასამართლო დავა განახლდება. როგორც ცნობილია, ნანა დევდარიანი პროკურორს იარაღით უკანონო ვაჭრობაში, ფინანსურ მაქინაციებსა და ოფიციალური დოკუმენტაციის გაყალბებაში ადანაშაულებს. თუმცა, გია ჯიქია სახალხო დამცველისგან მისთვის წაყენებული ბრალდებების საჯაროდ უარყოფას აღარ მოითხოვს. გია ჯიქიას თქმით, დევდარიანმა პრესით უკვე განაცხადა, რომ სამხედრო პროკურორისადმი წაყენებული ბრალდებების საჯაროდ უარყოფას არ აპირებს. "ვინაიდან სახალხო დამცველს იმუნიტეტი იცავს, სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას მას ვერავინ აიძულებს, ამდენად საოლქო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას აზრი აღარ აქვს," - განაცხადა ჯიქიამ. გარდა ამისა, პროკურორის თქმით, მან დევდარიანს სასამართლო დავა ერთხელ უკვე მოუგო და საკუთარი სიმართლე დაამტკიცა.

საქართველოს სახალხო დამცველი საოლქო სასამართლოში მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მარტის გადაწყვეტილებას ასაჩივრებს, რომლითაც მას სამხედრო პროკურორის წინააღმდეგ პრესით წაყენებული ბრალდებების საჯაროდ უარყოფა დაეკისრა. გია ჯიქიამ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს შესაბამისი სარჩელით გასული წლის ბოლოს მიმართა. სასამართლომ პროკურორის სარჩელი დააკმაყოფილა, თუმცა ნანა დევდარიანმა ეს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. **ინტერ-პრესი**

# მოკლული ექსპერტი ბი-ბი-სი-ს ანონიმი წყარო იყო



მოკლული ექსპერტი დევიდ კელი

გუშინ ბი-ბი-სი-მ განაცხადა, რომ დოქტორი დევიდ კელი ტელეკომპანიის ანონიმი წყარო იყო, რომლის ინფორმაციის მიხედვითაც, ბი-ბი-სი-მ განაცხადა, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებამ ერაყის ბირთვული იარაღის საქმე "შეთითხნა".

ბი-ბი-სი-ს ახალი ამბების განყოფილების დირექტორმა, რიჩარდ სემბრუკმა აღნიშნული განცხადება ერაყის ბირთვული შეიარაღების ექსპერტის ოჯახთან საუბრის შემდეგ გააკეთა, რომელიც გასულ კვირაში, პარასკევს მოკლული იპოვეს.

აღსანიშნავია, ბი-ბი-სი-მ ეს ინფორმაცია ეთერში მას შემდეგ გაუშვა, რაც პრემიერ-მინისტრმა, ტონი ბლერმა განაცხადა, რომ მინისტრებისა და მაღალჩინოსნების მოქმედებაზე თავად იღებს პასუხისმგებლობას.

ახლა ბრიტანეთის მთავრობასა და ბი-ბი-სი-ზე საზოგადოებრივი ზეწოლა იზრდება. ბევრი ფიქრობს, რომ კელის სიკვდილი სწორედ მათი ბრალია.

შაბათს პოლიციამ დაადასტურა, რომ ოქსფორდშირში ნაპოვნი ცხედარი თავდაცვის სამინისტროს მრჩეველს, დოქტორ დევიდ კელის ეკუთვნის. კელის მაჯა ჰქონდა გადაჭრილი, გვერდზე კი საძილე წამლის შეკვრა ეგდო.

სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე "ნიუ-იორკ თაიმსის" ჟურნალისტისათვის გაგზავნილ ელექტრონულ წერილში კელი წერდა, რომ "ძალიან ბევრი შავბნელი მოთამაშეა ამ საქმეში ჩართული".

ახლა ბრიტანეთის ხელისუფლებამ დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება დაიწყო. საგამოძიებო ჯგუფს ლორდ ჰატონი ჩაუდგა სათავეში. შესაძლებელია, ტონი ბლერს და მთავრობის მთელ შემადგენლობას გადადგომა მოუწიოს.

# ჩინეთი ჰონ კონგის ლიდერს მხარს უჭერს

ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა, ვენ ძიაპაომ ჰონ კონგის აღმასრულებელ ხელმძღვანელ ტუნ ჩი-ხვას მხარი დაუჭირა, იმის მიუხედავად, რომ ჰონ კონგის მოსახლეობა მის გადადგომას მოითხოვს.

ტუნი, რომელსაც, მის მიერ შემუშავებული ანტიდივერსიული კანონპროექტის გამო, ხშირად აკრიტიკებენ, მხარდაჭერის მისაღებად პეკინში ჩავიდა. ტუნის მთავრობის ორი წევრი უკვე გადადგა.

ჩინეთის პრემიერ-მინისტრის, ვენის თქმით, ტუნის მთავრობას "ნამდვილად შეუძლია ხალხის ყველაზე სერიოზული პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანა".

"მე კვლავ მჯერა, რომ ჰონ კონგელი თანამემამულეები ჰონ კონგში სტაბილურობის შენარჩუნებას სათანადო მნიშვნელობას მიანიჭებენ", - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ქუჩებში მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა კანონპროექტის მიღება განუსაზღვრელი ვადით გადაავადა. თუმცა, ჩინეთის პრეზიდენტმა, ხუ ძინთაომ ტუნთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მას "სჯერა, კანონპროექტი ჰონ კონგელი თანამემამულეების უმრავლესობის მხრიდან გაგებას, მხარდაჭერასა და აღიარებას მოიპოვებს მას შემდეგ, რაც სერიოზული და ფართო კონსულტაციები გაიმართება."

ჰონ კონგელების მტკიცებით, ახალი კანონის მიღება კუნძულზე პოლიტიკურ, რელიგიურ და პრესის თავისუფლებას მნიშვნელოვნად შეზღუდავს.

1 ივლისს გამართულმა 500000-კაციანმა საპროტესტო გამოსვლამ ტუნი "არ დააძინა", როგორც ეს მან მოგვიანებით აღიარა.

გამოსვლების შემდეგ მან პოლიტიკურ პარტიებთან, პრესისა და ინტერეს-ჯგუფების წარმომადგენლებთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა.

ჰონ კონგის აღმასრულებელი ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული ახალი კანონპროექტი სხვადასხვა საბაბით პოლიტიკური უფლებებისა და პრესის თავისუფლების შეზღუდვას ითვალისწინებს. ოპოზიციური დემოკრატიული პარტიის წევრის, უნ სინჩის თქმით, კუნძულზე არჩევნები უნდა დაინიშნოს და ახალი ხელმძღვანელი არჩევნების შედეგად შეირჩეს. ჯერჯერობით ტუნი ოპოზიციის ამ წინადადებას არ გამოხმაურებია.

დასავლელი მიმომხილველების თქმით, ჩინეთის პრეზიდენტ ხუს მიერ დემონსტრაციულად კარგი დახვედრა და პრემიერ ვენის გულთბილი სიტყვები იმ შთაბეჭდილების შესაქმნელად არის გამიზნული, თითქოს, არაფერი ხდება.

თუმცა, ცხადია, რომ ჰონ კონგში შექმნილ ვითარებაზე დახურულ კარს მიღმა სერიოზული მსჯელობა გაიმართებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში ჩინეთის ხელმძღვანელების კეთილგანწყობა ჰონ კონგში ვერ დააცხრობს საზოგადოების აღშფოთებას, რომელიც ტუნის საწინააღმდეგოდ არის მიმართული.

# ერაყში კიდევ ორი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს

ერაყში დილსოცირებული ამერიკელი ჯარისკაცების მსხვერპლი დღითიდღე იზრდება. გუშინ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ორი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის და ერთის დაჭრის შესახებ გაავრცელეს ცნობა. ისინი 101-ე სადესანტო-საპარაშუტო დივიზიის ჯარისკაცები იყვნენ.

ერაყელმა პარტიზანებმა ქალაქ მოსულთან გამოჩენილ ამერიკელების სამხედრო კოლონას ავტომატური იარაღიდან და ნალმტყორცნებიდან მასირებული ცეცხლი გაუხსნეს. სამი მძიმედ დაჭრილი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე უახლოეს ჰოსპიტალში მიიყვანეს, სადაც ორი მათგანი გარდაიცვალა.

ამდენად, ერაყში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების საერთო რაოდენობამ უკვე 151-ს მიაღწია. 34 სამხედრო მოსამსახურე პირველი მაისის შემდეგ მოკლეს – მას მერე, რაც პრეზიდენტმა ბუშმა ერაყში საომარი მოქმედებების დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

# ლიბერიის დედაქალაქი ამბოხებულების ხელშია

ლევან ღირსიაშვილი



ლიბერიის თავდაცვის მინისტრი თავის მომხრეებს ბრძოლისაკენ მოუწოდებს

სამთავრობო ძალებსა და ამბოხებულებს შორის ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ლიბერიაში მიღწეული შეთანხმება დაირღვა. დედაქალაქ მონროვიაზე ამბოხებულების მიერ შაბათს დაწყებული შეტევა გუშინ უკვე წარმატებით გაგრძელდა. აჯანყებულთა რაზმებმა დედაქალაქის ძირითადი ნაწილი დაიკავეს. მანამდე მონროვიას ათაიათასობით მაცხოვრებელი დედაქალაქის ცენტრში შეიკრიბა და ფრონტის ხაზისაკენ დაიძრა. ისინი ამბოხებულებს მშვიდობისაკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ მოსახლეობას ყურს უკვე აღავინ უგდებდა.

კვირას დილითვე ამბოხებულებმა სამთავრობო ძალების მიერ გამაგრებული პოზიციები გადალახეს და დედაქალაქში შევიდნენ. სააგენტო ბი-ბი-სი, თვითმხილველებზე დაყრდნობით, იუწყება, რომ მონროვიაში შესული ამბოხებულები წინ, პორტისაკენ მიიწევდნენ. მოსახლეობა მასობრივად ტოვებს ქალაქს.

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ამბოხებულები უკვე მესამედ შედიან დედაქალაქში. წინა ორი შეტევის დროს მონროვიაში ასობით ადამინი დაიღუპა, ხოლო რამდენიმე ათასი უსახლკაროდ დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი თვის წინ დაპირისპირებულმა ძალებმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი, ლიბერიაში სამოქალაქო ომი გრძელდება.

ბუშის ადმინისტრაცია, რომელსაც, ლიბერიაში ჯარების გაგზავნის თხოვნით, არა მარტო ადგილობრივმა მოსახლეობამ, არამედ გაერო-მაც მიმართა, ჯერჯერობით მოვლენების განვითარებას უცდის. ამ მისიისათვის ვაშინგტონის მთავარი პირობაა მოწინააღმდეგე ბანაკებს შორის ცეცხლის შეწყვეტა და პრეზიდენტ ჩარლზ ტეილორის უპირობო გადადგომა. რაც შეხება ამ უკანასკნელს, ის მზად არის, დატოვოს პოსტი და დათანხმდეს ნიგერიის პრეზიდენტის შეთავაზებას, რომელიც ლიბერიის პრეზიდენტს თავის ქვეყანაში პოლიტიკურ თავშესაფარს ჰპირდება. მაგრამ, თავისი პირობა ტეილორსაც აქვს. ის გადადგომის შესახებ განცხადებას მას შემდეგ გააკეთებს, რაც ლიბერიაში აშშ-ს სამშვიდობო ძალები შეაბიჯებენ. ამდენად, ტეილორი და ბუში ამ საკითხში ვერ თანხმდებიან. უნდა ითქვას, რომ ტეილორის ამ პოზიციას დასავლეთ აფრიკული ქვეყნების ლიდერებიც იზიარებენ, რადგან ლიბერიაში სამშვიდობო ძალების შესვლამდე პრეზიდენტის გადადგომა სახელისუფლებო და პოლიტიკურ ვაკუუმს შექმნის. თუმცა, ეს ვაკუუმი ისედაც უკვე შექმნილია. თუკი სამთავრობო ძალებმა უახლოეს დღეებში ვერ შეძლეს დედაქალაქის დაბრუნება, შესაძლოა, ჩარლზ ტეილორმა ნიგერიაშიც კი ვეღარ მოახერხოს გაქცევა. მას სიკვდილით დასჯა გარანტირებული აქვს.

# დეფექტური დემოკრატია და კარგი მმართველობა

პირველი გვერდიდან



ლევან იზორია "24 საათის" რედაქციაში

ნათელია, რომ საქართველოში პარტიების აღნიშნული წინასაარჩევნო აქტიურობა ან უკიდურესად თეორიულ, ან უკიდურესად ემოციურ სიბრტყეზე მიმდინარეობს. რეალობასთან მიმართებაში, ეს ყოველივე აბსტრაქტული ექსპერიმენტების ხასიათს ატარებს. ამ ტიპის ექსპერიმენტები კი, პოლიტიკურ ცხოვრებაში და განსაკუთრებით გარდამავალი ტიპის სახელმწიფოს პოლიტიკაში დაუშვებელია.

პოლიტიკური ხასიათის თეორიული ექსპერიმენტების თემატიკა, შესაძლოა, კარგი სემინარების, კონფერენციების ან ლექციების მსჯელობის საგანი იყოს, მაგრამ შეიძლება იგი კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ სინამდვილეს იყოს დაშორებული და, შესაბამისად, რეალობაში განუხორციელებელი დარჩეს.

ემოციური იმპულსებით განპირობებული პოლიტიკური ექსპერიმენტები კი, არაპრაგმატულობასთან ერთად, აკადემიური მსჯელობის ფორმატშიც არ ჯდება. იგი ყოველგვარ რაციონალურ საწყისებს ეწინააღმდეგება.

ქვეყნის განვითარების სტრატეგია თავისთავში უნდა მოიცავდეს არა ექსპერიმენტების, არამედ თანამიმდევრული რეფორმების განხორციელების პოლიტიკას. პოლიტიკური იდეის განხორციელება, პირველ რიგში, რეალური პირობების გათვალისწინებას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით, ქვეყნისთვის წარმატებული პოლიტიკა, არსებული რეალური სიტუაციის შეფასებას და მის შესაბამისად განვითარების პრიორიტეტების დადგენას უნდა ნიშნავდეს.

## დეფექტური დემოკრატია

განვითარების პოლიტიკა საქართველოში ძირითადად ქვეყნის დემოკრატიზაციას უკავშირდება. ამ თვალსაზრისით, ყველა პოლიტიკური ინიციატივა, სწორედ დემოკრატიის სახელით კეთდება. სიტყვა დემოკრატია ერთგვარი ჯადოსნური ჯოხის ფუნქციას ასრულებს, რომლის ხელში ჩაგდებას პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებით არჩევნების წინ, ერთმანეთს ეცილებიან.

მოსახლეობა დემოკრატიისგან, პირველ რიგში, საკუთარ კეთილდღეობას მოელის. პოლიტიკოსების უმრავლესობა ჯადოსნური ჯოხით ცდილობს ამ კეთილდღეობის უზრუნველყოფას. ხშირია განუხორციელებელი დაპირებები. დღეს კვლავ იდგმება დემოკრატიის დაპირების სპექტაკლი, მაგრამ საგრძნობლად კლებულობს აუდიტორია. რეალური გამოცდილების საფუძველზე, მოსახლეობა უფრო პრაგმატული გახდა. მას, აბსტრაქციების ნაცვლად, რეალური მოქმედება სჭირდება.

ქვეყნის დემოკრატიზაციის პროგრამა, პირველ რიგში, რეალური მდგომარეობის გათვალისწინებას გულისხმობს. დღეს საქართველოში დეფექტური დემოკრატიის ტიპის სახელმწიფო ჩამოყალიბდა. განვითარების თვალსაზრისით, პირველი რიგის ამოცანა სწორედ ამ დეფექტების ანალიზი და მათი აღმოფხვრის გზების განსაზღვრაა.

დეფექტური დემოკრატია გარდამავალი სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი მმართველობის ფორმაა. მისი თავისებურება, სახელმწიფოში ფორმალურად არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციების ფაქტობრივ შეზღუდვაში და მათი არადემოკრატიული მმართველობის ხასიათში ვლინდება. სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების პარალელურად, ძირითადად კლანური სტრუქტურების სახით, არსებობენ სხვა არაკანონიერი ინსტიტუტები, რომლებიც, სამართლის გვერდის ავლით, აყალიბებენ დამახინჯებულ სტაბილურობას. აღნიშნული სტაბილურობის მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს კლიენტელიზმი და კორუფცია.

სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების პარალელურად სხვა ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც ქვეყანაში სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ, კითხვის ქვეშ აყენებს დემოკრატიულ სტაბილურობას და ამით საერთოდ განვითარების შესაძლებლობას.

## საზოგადოება

საქართველოში დეფექტური დემოკრატიის ტიპის სახელმწიფოს არსებობას, საზოგადოებაში დემოკრატიის დეფექტური ცნობიერება შეესაბამება. ამ ცნობიერებისთვის დემოკრატია არის ერთგვარად შეუზღუდავი, „ამორალური" თავისუფლება. სხვა სიტყვებით მას შეიძლება „საბაზრო" თავისუფლებაც დავარქვათ, რომელიც ეგოიზმის და პარტიკულარული ინტერესების პრიმატს ემყარება.

საზოგადოებაში ყალიბდება მახინჯი პოლიტიკური კულტურა, რომელიც აპატიით, პასიურობით და კანონის უპატივცემულობით გამოირჩევა. მოსახლეობა უნდობლობას უცხადებს კანონებს და ძირითადად არაკანონიერი გარიგებების ფორმას ენდობა. დემოკრატიული ინსტიტუტები კარგავენ სახალხო აღიარებას ანუ ლეგიტიმურობას.

ქვეყნის განვითარების პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით, არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ საზოგადოება უნდა გახდეს დასავლური დემოკრატიის საფუძველი საქართველოში. მაგრამ როგორ შეიძლება ამის მიღწევა, საზოგადოებაში რეალურად არსებული დეფექტური ცნობიერებისა და კანონის უპატივცემულობის ნიადაგზე?

დასმულ კითხვაზე ხშირად პასუხობენ: აუცილებელია საზოგადოებაში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ამაღლება, აუცილებელია თითოეულის, საკუთარი თავის მიმართ მეტი მომთხოვნელობა. აღნიშნული მორალური მოწოდებებით ცდილობენ საზოგადოებაში არსებული „საბაზრო" თავისუფლების ერთგვარ დაბალანსებას. მაგრამ, სინამდვილეში ეს მოწოდებები უტოპიურ საწყისებს ემყარება და რეალურად განუხორციელებელი დარჩება.

საქართველოში არსებული „საბაზრო" თავისუფლება საბაზრო ეკონომიკის ეკვივალენტურია. ამ უკანასკნელის საფუძველი არის პირადი კეთილდღეობა, ხოლო საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირითადი ფორმა არის ვაჭრობა. დღეს საქართველოში ვაჭრულმა სულისკვეთებამ საზოგადოების ყველა სფერო მოიცვა.

საბაზრო ეკონომიკა თავისი ბუნებით მხოლოდ ძალთა თავისუფალ დაპირისპირებას და კონკურენციას ემყარება. ამჟამად, ქართულ საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური ცხოვრების ფორმაც, მარტო საბაზრო ეკონომიკის შინაარსს ეფუძნება. პოლიტიკური მოღვაწეობა ძირითადად პირად კეთილდღეობას ემყარება. „ამორალური" თავისუფლების საფუძველზე, ე.წ. პოლიტიკური დებატები, ძირითადად უკომპრომისო დაპირისპირებას და ურთიერთლანძღვას ემსახურება. პარტიების „საბაზრო" თავისუფლება, პოლიტიკაში მონოპოლიის შენარჩუნებისთვის, ან მონოპოლიის მოპოვებისთვის დაუნდობელ ბრძოლას ემსგავსება.

„ამორალური" თავისუფლება პოლიტიკური აქტიურობის ფილოსოფია ხდება. იგი კარგად განასახიერებს ამჟამინდელი ქართული საზოგადოების დეფექტური დემოკრატიის ცნობიერებას, რომელიც ძირითადად კერძო ინტერესების და სხვისი განადგურების დოქტრინას ეფუძნება.

„ამორალური" თავისუფლების საფუძველზე, შეუძლებელია ქვეყნის განვითარების პოლიტიკის შემუშავება. მისი მიხედვით, მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება თუ შეიძლება. ამიტომ, შეცდომას უშვებს ის, ვინც ამჟამინდელი „საბაზრო" საზოგადოების საფუძველზე ცდილობს დემოკრატიის განვითარების დასაბუთებას.

დემოკრატია შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც საბაზრო ეკონომიკა რეგულირებას ექვემდებარება. შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოებაც წარმოუდგენელია იქ, სადაც ინდივიდუალური თავისუფლება ინსტიტუციონალურ მოწესრიგებას არ ექვემდებარება. დემოკრატია, თავისუფლებასთან ერთად, თანასწორობასაც გულისხმობს.

ეს ყოველივე კონკრეტულად იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული სამართლით მოწესრიგებული საზოგადოებაა. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ის საბაზრო საზოგადოებისაგან. დემოკრატია თანაბრად ითვალისწინებს საზოგადოების ყველა წევრის თავისუფლებას. იგი ამართლებს ინდივიდუალური თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუ სხვისი თავისუფლების, ან საზოგადოებრივი ინტერესის სფერო ილახება. ყველას ინტერესი რეალურად დაცულია. ამიტომ ასეთ საზოგადოებაში დემოკრატია მოსახლეობის მორალურ აღიარებას და ლეგიტიმაციას ემყარება.

# პალესტინელი პატიმრების ბედი შარონის და აბასის ხელშია

გუშინ პალესტინის პრემიერ-მინისტრი, მაჰმუდ აბასი იერუსალიმში ისრაელის ლიდერს, არიელ შარონს შეხვდა. მოლაპარაკების მთავარი მიზანი ისრაელის ციხეებში დაპატიმრებული პალესტინელი ექსტრემისტების გათავისუფლება იყო. თუმცა, ზუსტი დღის წესრიგი მასმედიისათვის არ გამოქვეყნებულა. შეხვედრას წინ უსწრებდა არიელ შარონის მიერ აბასისათვის გამოგზავნილი სია, სადაც პირველ ეტაპზე გასათავისუფლებელი პატიმრები არიან შეყვანილნი. როგორც ცნობილია, ისრაელი პირობას დებს, რომ პირველ ეტაპზე ოთხიდან ექვს ათასამდე პატიმარს გაათავისუფლებს. ადგილობრივ დამკვირვებლებს მიაჩნიათ, რომ ეს არიელ შარონის მხრიდან საკმაოდ დიდი დათმობაა. საქმე ისაა, რომ პალესტინელი პატიმრების მიმართ ისრაელის საზოგადოების აზრი აშკარად ცალსახაა - ებრაელები მათ ტერორისტებს უწოდებენ, თუმცა პალესტინელებისათვის ისინი, უბრალოდ, პოლიტპატიმრები არიან. შარონისა და აბასის შეხვედრის დეტალები დღეს გახდება ცნობილი.

პალესტინური წყაროების თქმით, შეხვედრის დასრულების შემდეგ მაჰმუდ აბასი კაიროში გეგმავს ვიზიტს, სადაც მას ეგვიპტის პრეზიდენტი, ჰოსნი მუბარაქი მიიღებს. პალესტინის პრემიერ-მინისტრი კაიროდან იორდანიის დედაქალაქ ამანში ჩავა და მეფე აბდულა მეორეს შეხვდება. საბოლოოდ ტურნეს 25 ივლისს ვაშინგტონში აბასის ვიზიტი დააგვირგვინებს. მას აშშ-ს პრეზიდენტი, ჯორჯ ბუში უმასპინძლებს.

# ჩეჩნეთში "ზაჩისტკები" გრძელდება

ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობის დასარეგულირებლად აუცილებელია "რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური ნება", - განაცხადა რადიო "ეხო მოსკვის" ეთერში მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელმა, ლუდმილა ალექსეევამ.

მისი თქმით, უფლებადამცველებმა, რომლებიც ცოტა ხნის წინ რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ, განაცხადეს, რომ ჩეჩნეთში ე.წ. "ზაჩისტკები" გრძელდება. "რეფერენდუმის წინ წმენდები ცოტა ხნით შეჩერდა; ხალხი იმედოვნებდა, რომ საბოლოოდ შეწყდა, მაგრამ რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ "ზაჩისტკები" კვლავ განახლდა", - დასძინა მან.

ალექსეევას აზრით, - "პოლიტიკური მოსაზრებებით, ჩეჩნეთში საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე, შესაძლოა, "ზაჩისტკები" შეწყდეს, შემდეგ კი კვლავ განახლდეს, თუ ხელისუფლება კვლავ ძველი ლოგიკით იმოქმედებს". საპრეზიდენტო არჩევნები ჩეჩნეთში 5 ოქტომბერს არის დანიშნული.

ამჟამად რუსეთის ხელისუფლება რესპუბლიკაში ადამიანის უფლებების დაცვის გასაუმჯობესებლად არანაირ ძალას არ იყენებს, - ხაზგასმით აღნიშნა ცნობილმა უფლებადამცველმა. საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანზაციამ, "საერთაშორისო ჰელსინკის ფედერაციამ" რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდა, ასობით მშვიდობიანი მოსახლის გაუჩინარების ფაქტები გამოიძიონ. ამავე ორგანიზაციის რეკომენდაციით, უმჯობესია, თუ რუსეთის ხელისუფლება ჩეჩნეთსა და ინგუშეთში გაუჩინარებული ადამიანების ძიებაში მონაწილეობის მისაღებად გაერო-ს წარმომადგენლებს მიიწვევს.

ალექსეევას თქმით, უფლებადამცველი ორგანიზაციები იმის მიღწევას ცდილობენ, რაც "ჩეჩნეთში ხალხს სურს – სიცოცხლის უფლებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებას. ეს ჩეჩნეთის მაცხოვრებლებს არანაირად გარანტირებული არ აქვთ". "ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ადამიანების გაქრობის, მოროდიორობის, გაუპატიურების ფაქტები პროკურატურამ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად გამოიძიოს და დამნაშავეები დაისაჯონ", - აღნიშნა ალექსეევამ.

ამას გარდა, ლუდმილა ალექსეევა დარწმუნებულია, რომ ამგვარი შემთხვევები "არმიას, მილიციასა და სადაზვერვო სამსახურებს რყვნის, რადგან ისინი ჩეჩნეთში როტაციული წესით იმყოფებიან. გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ისინი უკან ბრუნდებიან და თან მუშაობის არაადამიანური მეთოდები ჩააქვთ. ჩვენ ეს უმსგავსობა ყველა რეგიონში გვექნება, სანამ ჩეჩნეთში ამგვარი საშინელებები ხდება".

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** უკვე მერამდენედ, "რომას" მთავარი მწვრთნელი, ფაბიო კაპელო და ამავე კლუბის პრეზიდენტი, ფრანჩესკო სანსი ერთმანეთის საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან. რამდენიმე დღის წინ სანსიმ განაცხადა, რომ მის კლუბს აღარ ესაჭიროება თავდამსხმელი მარკო დელ ვეკიო და მის გაყიდვას აპირებს. მაგრამ კაპელო შეფის ამ გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგა.

"დელ ვეკიო იტალიის ნაკრების ფეხბურთელია. მე მისგან მომავალ სეზონში წარმატებულ და შედეგიან თამაშს მოველი. ეს ეხება ვინჩენცო მონტელას და ვალტერ სამუელსაც, რომლებმაც წინა სეზონი უფერულად ჩაატარეს", - განაცხადა კაპელომ.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "ფლორიდამ" "კოლორადოს" თავისი საუკეთესო მოთამაშე პიტერ უორელი დაუთმო. სამაგიეროდ "პანტერებმა" მიიღეს ჩეხი ვაცლავ ნედოროსტი და ერიკ მესიე. თუმცა, "კოლორადოს" "ხურდაში" 2004 წლის დრაფტზე უპირატესი არჩევანის გაკეთების უფლებაც ერგო. კოლორადოელთა რიგებში უორელს ვარსკვლავურ წყვილთან, პოლ კარიუსთან და ტეემუ სეელანესთან ერთად მოუწევს სამეულში თამაში. ეს ჰოკეისტებიც "კოლორადომ" ახლახან შეიძინა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** სკოტი პიპენი ჩიკაგოში ბრუნდება. გუშინ ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება გაკეთდა. კალათბურთელს, რომელიც მშობლიურ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით მიდის, ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. ამ პერიოდში ის 10,3 მილიონ დოლარს მიიღებს.

შეგახსენებთ: 1996 წელს სკოტი პიპენი ამერიკის ყველა დროის 50 საუკეთესო კალათბურთელს შორის დაასახელეს. მისი სახელი ისევე უკავშირდება "ჩიკაგო ბულსის" "ოქროს ხანას", როგორც მაიკლ ჯორდანისა.

37 წლის ვეტერანს 7-ჯერ მიუღია მონაწილეობა NBA-ს "ყველა ვარსკვლავის" თამაშებში. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში პიპენი "პორტლენდის" ღირსებას იცავდა. ბოლო სეზონში ის თითო მატჩში, საშუალოდ, 10,8 ქულას და 4,4 შედეგიან გადაცემას აგროვებდა, რაც გუნდში საუკეთესო მაჩვენებელია.

■ ■ ■

**კრივი.** პროფესიონალმა მძიმეწონოსანმა რედ რონიმ თავისი მორიგი ბრძოლის პირველი რაუნდის დასრულებამდე 5 წამით ადრე მეტოქისგან სერიოზული დარტყმა "გაატარა", რის გამოც, იგი მოწყვეტით დაეცა და სუნთქვა შეწყვიტა. ექიმებმა ვეღარაფერი უშველეს - მოკრივე გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. ექსპერტიზა ფატალური შემთხვევის გამომწვევ მთავარ ვერსიად ჯერჯერობით გულის გაჩერებას მიიჩნევს.

დაღუპული სპორტსმენის მეგობრის, ბრიუს ტრემპლერის თქმით, რამდენიმე დღის წინ რონის დედა გარდაეცვალა. ამ ორთაბრძოლაში კი მხოლოდ იმიტომ მიიღო მონაწილეობა, რომ მიღებული ფულით დაკრძალვის ხარჯები გაესტუმრებინა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიის სერია A-ს კლუბის, "ბოლონიას" ოფიციალურ პრეზენტაციაზე, რომელიც ორი დღის წინ გაიმართა, კლუბის პრეზიდენტმა, ჯუზეპე ფრესკარამ განაცხადა, რომ იმ კლუბებს, რომლებსაც მისი გუნდის არგენტინელი ფეხბურთელის, ხულიო კრუზის შეძენა სურთ, სულ მცირე, 7 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. "ბოლონიის" ამ თავდამსხმელის მიმართ ინტერესს გამოთქვამენ "იუვენტუსი", "ლაციო" და "რომა".

■ ■ ■

**კალათბურთი.** "დეტროიტმა" თავის საუკეთესო სნაიპერთან, რიჩარდ ჰამილტონთან ახალი, გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმა. მანქანათმშენებლობის დედაქალაქის წარმომადგენლებმა ჰამილტონთან კონტრაქტის გაფორმება სეზონებს შორის არდადეგებზე მთავარ სატრანსფერო პრიორიტეტად დაისახეს და მიზანს მიაღწიეს. სეზონის დასრულების შემდეგ კალათბურთელმა "შეზღუდული თავისუფალი აგენტის" სტატუსი მიიღო. წინა წელიწადს, რეგულარულ ჩემპიონატში, ის თითო მატჩში, საშუალოდ, 19,7 ქულას, ხოლო პლეი-ოფში 22,5 ქულას აგროვებდა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** NHL-ის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელი სკოტი ბოუმენი სამწვრთნელო საქმიანობას უბრუნდება. თუმცა, მხოლოდ ერთი მატჩის განმავლობაში, როცი ის "მონრეალს" უხელმძღვანელებს. თამაშში, რომელიც 22 ნოემბრისთვის არის დანიშნული, ბოუმენის მიერ დამოძღვრილი "მონრეალ კანადიენსის" ვეტერანები დაუპირისპირდებიან იმ ჰოკეისტებს, რომლებმაც 80-იან წლებში "ედმონტონ ოილერზს" გაუთქვეს სახელი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედი" "ნიუკასლის" ნახევარმცველით, კირონ დაიერით დაინტერესდა. ამ მიზნით ალექს ფერგიუსონმა ნიუკასლელებს 20 მილიონი ევროც კი შესთავაზა, მაგრამ ქეცბაიას ყოფილი კლუბი ამ წინადადებაზე არ დათანხმდა. "ნიუკასლის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ "მანჩესტერ იუნაიტედს" დაიერის გადაბირება სურს, გაცილებით დიდი თანხის გაღება მოუწევს, ვიდრე 20 მილიონია.

---

რაგბი

# „ლოკომოტივი" საქართველოს თასის მფლობელია

პირველი გვერდიდან



"დათვებს" შეტევა არ დაასრულებინეს.

- აღშფოთებას ვერ მალავდა მატჩის შემდეგ ბათუმელთა მწვრთნელი რამაზ სანებლიძე. მწვრთნელის ასეთი რეაქცია მსაჯის ნამოქმედარმა გამოიწვია – ზაზა ლეჟავამ შეხვედრა ორი წუთით ადრე დაასრულა. ამის გამო ბათუმელებმა რაგბის კავშირის სახელზე პროტესტი დაწერეს და საქმის განსახილველად 100 ლარიც დატოვეს.

"მატჩს წყვეტს მსაჯი და არა ტაბლო. ჩემი საათის მიხედვით გუნდებმა ოთხი წუთით მეტი ითამაშეს, ანუ ძირითად დროს ოთხი წუთი დავუმატე. ასე რომ, საუბარი იმაზე, თითქოს თამაში დროზე ადრე დავასრულე, აბსურდია. რაც შეეხება არაკვალიფიციურ და ტენდენციურ მსაჯობას, შესაძლოა, რომელიღაც ეპიზოდში შევცდი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ისე არ შევმცდარვარ, რომ ამას გავლენა მოეხდინა მატჩის შედეგზე. ჩემი აზრით, როცა მწვრთნელი ყველაფერს მსაჯს აბრალებს, ეს მისი სისუსტეა და სხვა არაფერი", - ასეთია ზაზა ლეჟავას პოზიცია.

დღეს კავშირში იმსჯელებენ ამ საკითხზე და კიდევ რამაზ სანებლიძესა და გია კუბლაშვილს შორის მომხდარ უთანხმოებაზე, რომელიც მარტო ერთმანეთის სიტყვიერი შეურაცხყოფით არ დასრულებულა. მაგის საგინებელი ვინაა, მაგ...", - ასე გამოეხმაურა გია კუბლაშვილი სანებლიძის სიტყვებს და ატყდა ერთი ამბავი. მოჩხუბართა დაშოშმინება და გაშველება იქვე ახლოს მდგომებმა აიღეს საკუთარ თავზე და ამოცანას თავი წარმატებითაც გაართვეს.

"მე არ შევსწრებივარ ამ ფაქტს და ამიტომ ვერაფერს გეტყვით. შეხვედრას ჰყავდა დამკვირვებელი, მეოთხე მსაჯი. ისინი ყველაფერს თვალყურს ადევნებდნენ. ჩვენ სწორედ მათი ნაამბობის შემდეგ გამოვიტანთ დასკვნებს", - აღნიშნა კავშირის გენერალურმა მდივანმა მიხეილ ბურძგლამ.

თავად მატჩი კი, მართლაც, საფინალო გამოდგა. პირველი ტაიმის უმეტესი დროის მანძილზე რკინიგზელები ფლობდნენ უპირატესობას და ეს ანგარიშშიც აისახა - ტაიმის ბოლო წუთისთვის ისინი 12:3 იგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთზე ბათუმელებმა ლელო გაიტანეს და სხვაობა ორ ქულამდე შეამცირეს. შესვენების შემდეგ უკვე "დათვები" გამოიყურებოდა უკეთ, ორი ლელოს გატანა მოახერხა და მატჩის მიწურულს ხუთი ქულითაც დაწინაურდა, მაგრამ...

სამი წუთი რჩებოდა შეხვედრის დამთავრებამდე, როცა "ლოკომოტივმა" ლელოთი ანგარიში გაათანაბრა, ბობა კვინიხიძემ კი ზუსტად შესრულებული გარდასახვით გამარჯვების ორი ქულა მოუტანა გუნდს.

"მშვენიერი თამაში გამოვიდა. ისეთი ფინალს რომ ეკადრება. ორივე გუნდი იმსახურებდა გამარჯვებას, ორივემ კარგად ითამაშა, მაგრამ გაიმარჯვა უძლიერესმა. ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ ამ გამარჯვებით და იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში რაგბი ესოდენ პოპულარული ხდება", - 24 საათთან საუბარში განაცხადა ბობა კვინიხიძემ.

მწვრთნელისგან განსხვავებით ბათუმელთა პრეზიდენტი ირაკლი დიასამიძე უფრო მშვიდად იყო: "მინდა "ლოკომოტივს" მივულოცო დღევანდელი გამარჯვება. დღეს ქვეყნის ორი საუკეთესო გუნდი თამაშობდა და შეხვედრაც ამიტომ გამოვიდა ასეთი საინტერესო. ჩვენ ტოლი არაფერში დავუდეთ მეტოქეს, გარკვეულ ეპიზოდებში ვჯობდით კიდეც, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მათ ხვდათ წილად. მსაჯობის შეფასებისგან თავს ვიკავებ, თამაშს იგებს ის, ვინც ძლიერია".

---

ფორმულა 1

# „ფერარიმ" წააგო, „ფერარიმ" მოიგო

გიგა გურასაშვილი




REUTERS

ბარიკელომ მოიგო, თვალები მინაბა და ხელი აღმართა.

ალბათ, გაინტერესებთ, საიდან დაიწყო თანამედროვე ფორმულა 1. ფრანგები თვლიან, რომ სწორედ ისინი არიან პიონერები, მაგრამ ბრიტანელებსაც რომ იგივე პრეტენზია აქვთ! როგორც უნდა იყოს, უდავოა, სილვერსტოუნის ტრასა ბრიტანეთის ავტოსპორტის სამშობლოა. ისიც ფაქტია, რომ მსოფლიოს არც ერთ ჩემპიონატს არ ჩაუვლია დიდი ბრიტანეთის გრან-პრის გარეშე, ისევე როგორც იტალიის გრან-პრის გარეშე. გუშინ სილვერსტოუნმა სამეფო რბოლების მე-11 ეტაპს უმასპინძლა.

ეს ტრასა ალმოცენდა ძველ სამეფო აეროდრომზე, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანელი მფრინავები იყენებდნენ. 1948 წელს აქ ომისშემდგომი პირველი ეტაპი ჩატარდა, თუმცა, მსოფლიოს ჩემპიონატის სტატუსის გარეშე. ოფიციალური სტატუსი კი 1950 წლის 13 მაისს მიეკუთვნა, მაშინ, როდესაც ჯუზეპე ფარინამ "ალფა რომეოთი" სილვერსტოუნის ტრიუმფებს დაუდო სათავე.

საკუთარი ტრიუმფის მოლოდინში იყო "ფერარის" ბრაზილიელი პილოტი რუბენს ბარიკელოც, რომელმაც საკუთარ ნიჭს სწორედ ბრიტანეთის გრან-პრიზე მისცა გასაქანი. ჯერ შაბათის კვალიფიკაცია მოიგო და ნათელი გახდა, რომ სამეულში მოხვედრა არ უნდა გასჭირვებოდა. ერთი გარემოებაცაა: ბრაზილელი იმდენად კარგად მოერგო სილვერსტოუნს, რომ რბოლამდე ცოტა ხნით ადრე განაცხადა კიდეც, ამ ტრასას ინტერლაგოსის (ბრაზილიის გრან-პრი) შემდეგ მეორე მშობლიურ არენად აღვიქვამო.

"სილვერსტოუნს ყოველთვის კარგად ვერგებოდი და იმედი მაქვს, კვირასაც ასე იქნება", - ერთი დღით ადრე თავდაჯერებული ჩანდა "ფერარის" ბრაზილიელი პილოტი.

ბარიკელოს "ეჭვი" გამართლდა. არაპროგნოზირებად, ქაოსურ რბოლაში ბარიკელომ სეზონის პირველი რბოლა მოიგო.

როგორც წესი, ბარიკელოს თანაგუნდელს, გერმანელ მიხაელ შუმახერს, ისევე როგორც იტალიელთა საჯინიბოს, ყველა რბოლის ფავორიტად მიიჩნევენ. საქმე ის არის, რომ "ფერარი" ჩქაროსნულ ტრასებს ყველაზე უკეთ ათვინიერებს. სილვერსტოუნი კი სწორედ ჩქაროსნული ტრასაა. მაგრამ ამჯერად ისე მოხდა, ფერარელთაგან ბარიკელოს ბედაური ალმოჩნდა "ფეხმარდი". მიხაელი კი სამეულს მიღმა დარჩა, თუმცა, შესაძლო იყო, მესამეს გადაეკვეთა ფინიშის ხაზი. გერმანელზე წინ მხოლოდ ფინელი კიმი რაიკონენი ("მაკლარენი"), კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია ("უილიამსი") და ტრიუმფატორი გავიდნენ.

**ბრიტანეთის გრან-პრი**
**პირადი ჩათვლა**

1. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია) "ფერარი" 1:28:34,554
2. ხუან პაბლო მონტოია (კოლუმბია) "უილიამსი" 1:28:40,016
3. კიმი რაიკონენი (ფინეთი) "მაკლარენი" 1:28:45,210
4. მიხაელ შუმახერი (გერმანია) "ფერარი" 1:29:00,202
5. დევიდ კულჰარდი (დიდი ბრიტანეთი) "მაკლარენ-მერსედესი" 1:29:11,381
6. იარნო ტრული (იტალია) "რენო" 1:29:17,621
7. კრისტიანო და მატა (ბრაზილია) "ტოიოტა" 1:29:19,639
8. ჯეისონ ბატონი (დიდი ბრიტანეთი) BAR 1:29:20,032

**საერთო ჩათვლა**

1. მიხაელ შუმახერი (გერმანია) "ფერარი" 69
2. კიმი რაიკონენი (ფინეთი) "მაკლარენ-მერსედესი" 62
3. ხუან პაბლო მონტოია (კოლუმბია) "უილიამსი" 55
4. რალფ შუმახერი (გერმანია) "უილიამსი" 53
5. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია) "ფერარი" 49
6. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი) "რენო" 39
7. დევიდ კულჰარდი (დიდი ბრიტანეთი) "მაკლარენ-მერსედესი" 33
8. იარნო ტრული (იტალია) "რენო" 16
9. მარკ ვებერი (ავსტრალია) "იაგუარი" 12
10. ჯეისონ ბატონი (დიდი ბრიტანეთი) BAR 11

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | "ფერარი" | 118 |
| 2. | "უილიამსი" | 108 |
| 3. | "მაკლარენ-მერსედესი" | 95 |
| 4. | "რენო" | 55 |
| 5. | BAR | 14 |
| 6. | "იაგუარი" | 12 |
| 7. | "ჯორდანი" | 11 |
| 8. | "ზაუბერი" | 9 |
| 9. | "ტოიოტა" | 7 |
| 10. | "მინარდი" | 0 |

---

ფეხბურთი

# რონალდინიო „ბარსელონაშია"



REUTERS

რონალდინიო ბარსელონას აეროპორტში.

აკა ტონია

*გადაწყვეტილი ამბავია: ბრაზილიელი რონალდინიოს ტრანსფერის ირგვლივ არსებული გაურკვევლობა დასრულდა. ნახევარმცველისთვის ბრძოლაში კატალონიელებმა გაიმარჯვეს. ასე და ამრიგად, რონალდინიო "ბარსელონას" ფეხბურთელია.*

ის, რომ რონალდინიო "პარი სენ ჟერმენს" მიატოვებდა, უკვე კარგა ხნის წინათ გახდა ცნობილი. პარიზული კლუბის მწვრთნელს ლუი ფერნანდესსა და ბრაზილიელ ნახევარმცველს შორის უთანხმოება ჯერ კიდევ შარშან, ზაფხულში დაიწყო. რონალდინიო გუნდიდან წასვლით იმუქრებოდა, მსურველები კი მას არასოდეს აკლდა. ბრაზილიელი რომ გუნდს შეიცვლიდა, ამაში არავის ეპარებოდა ეჭვი, თუმცა, ის, თუ სად იპოვიდა რონალდინიო ნავსაყუდელს, უკანასკნელ დღემდე გაურკვეველი იყო.

მას შემდეგ, რაც "ბარსელონას" ახლად არჩეულ პრეზიდენტს ხუან ლაპორტას დევიდ ბექჰემის ტრანსფერი ჩაუვარდა, კატალონიური კლუბი რონალდინიოზე გადაერთო და ბექჰემის შემთხვევაში დაშვებული შეცდომის გამოსწორებას სწორედ ბრაზილიელის გადაბირებით აპირებდა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, თითქოს ბარსელონელები ამჯერადაც უნდა გაწბილებულიყვნენ - რონალდინიო ხომ "რეალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედსაც" აინტერესებდათ... ბრაზილიელისთვის ბრძოლას "რეალი" მალევე გამოეთიშა. მადრიდელები მიხვდნენ, რომ კიდევ ერთი ნახევარმცველი ნამდვილად აღარ სჭირდებოდათ. მაგრამ დარჩა "მანჩესტერი". ალექს ფერგიუსონის გუნდმა ვერა და ვერ იპოვა ბექჰემის შემცვლელი, რონალდინიო კი საუკეთესო კანდიდატურა იქნებოდა.

"მანჩესტერში" გადასვლას თავად რონალდინიოც ანიჭებდა უპირატესობას. "ბარსელონას" ხელმძღვანელები კი სასოწარკვეთილები აცხადებდნენ, რომ რონალდინიოს ტრანსფერის საკითხში "მანჩესტერს" კონკურენციას ვეღარ გაუწევდნენ. ეს რამდენიმე დღის წინათ ხდებოდა, ვინ იფიქრებდა, რომ...

რონალდინიოს აწ უკვე ყოფილი კლუბი, "პარი სენ ჟერმენი" "მანჩესტერს" არაეთიკურ საქციელში ადანაშაულებს. თურმე, ინგლისელები, "სენ ჟერმენის" გვერდის ავლით, ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ რონალდინიოსთან. ყველაფერ ამას დაემატა ისიც, რომ უკანასკნელ მომენტში ინგლისელებს ფული დაენანათ და შეპირებული 30 მილიონის გადახდა იუარეს. ინგლიელებმა "სენ ჟერმენს" მხოლოდ 22 მილიონი ევრო შესთავაზეს. ამ დროს გამოჩნდა "ბარსელონაც". კატალონიელებმა "სენ ჟერმენს" 25 მილიონი (დამატებით 5 მილიონი, თუ "ბარსელონა" რაიმე მნიშვნელოვან ტიტულს მოიპოვებს) შესთავაზა და საქმეც მოგვარდა – რონალდინიო "ბარსელონაშია".

ზეიმი "El Prat"-ის აეროპორტშივე დაიწყო, ბარსელონა თავის ახალ ვარსკვლავს მიესალმებოდა. აეროპორტში 200-მდე გულშემატკივარმა მოიყარა თავი, ბრაზილიელი კი ლურჯ-წითელი ბურთით ჟონგლიორობდა და აცხადებდა, რომ "ბარსელონაში" თამაში მისთვის განსაკუთრებული პრივილეგიაა.

"ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება", - რონალდინიოს "მანჩესტერში" სურდა თამაში, თუმცა, ახლა "ბარსელონას" ასხამს ხოტბას. "ფიგუ, რონალდო, ზიდანი - მაგრამ რონალდინიო "ბარსასია", - წერდა გაზეთ "Marca"-ს გუშინდელი ნომერი. "ლაპორტამ დანაპირები აასრულა: რონალდინიო, ვარსკლავი, რომელიც "ბარსელონას" აკლდა, აქ არის", - წერს გაზეთი "As". კლუბის ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი კი აცხადებდა: "ბარსელონა" "რეალს" ჯობს". ვიცე-პრეზიდენტის ამ სიტყვებში კარგად ჩანს, თუ რა მნიშვნელობა აქვს რონალდინიოს ტრანსფერს კატალონიური კლუბისთვის. მნიშვნელოვანია ის, რომ "ბარსელონამ" უკვე დიდი ხნის მანძილზე პირველად შეძლო ძლიერი კონკურენტების დამარცხება. მთავარი კი ის არის, რომ რონალდინიოს შეძენა "რეალსაც" სურდა. "პარი სენ ჟერმენის" ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ მადრიდელები, მართლაც, აწარმოებდნენ მათთან მოლაპარაკებას, თუმცა, რონალდინიოს შეძენა მათ 2004 წელს სურდათ.

2004 წლამდე მოცდა არც "სენ ჟერმენმა" და არც რონალდინიომ აღარ ისურვეს. ფეხბურთელის ოფიციალური წარდგენა ბარსელონაში დღეს გაიმართება. რონალდინიო 5-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, პარიზელები კი მის სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს მიიღებენ. თუ "ბარსელონა" მომავალ სეზონში რაიმე მნიშვნელოვან ტიტულს მოიპოვებს, ამ თანხას კიდევ 5 მილიონი დაემატება.

---

Tour de France

# როგორც ქვიშის საგუბრიდან

ირაკლი ბერიაშვილი



REUTERS

მეთორმეტე ეტაპის გამარჯვებული კარლოს სასტრე.

ველოსპორტის გურმანებს ფანტასტიკური დღეები უდგათ. ტელეეკრანით საფრანგეთის გარშემო მოგზაურობა გრძელდება. პელოტონს ყოველ ფეხის ნაბიჯზე სიურპრიზები ხვდება. გზის გასწვრივ არ წყდება თივის ზვინებით ნაწერი მისალმებები, უბელო ცხენებზე ამხედრებული სოფლელი ბიჭები თავგამოდებით მისდევენ ჭრელ ქარავანს; ერთგან რომელიღაც ციხესიმაგრის წინ მოწყობილ სახელდახელო რაინდულ ტურნირში შუბებითა და აბჯარ-მუზარადით აღჭურვილი თანამედროვე ჯვაროსნები ასპარეზობენ; ფრანგებს გამომგონებლობაში ვინ შეედრება და, ვიღაც მაკვარანცხს თივის ზვინებით შემოღობილში ყვითელი, მწვანე და კოპლებიანი მაისურებით შემოსილი ძროხები გაუშვია; ველოსიპედისა და ველომრბოლების ფიტულებს ხომ თვლა არა აქვს...

ფანტასტიკური დღეებია საფრანგეთში. მთის ეტაპები, განსაკუთრებით კი გრძელი აღმართები, გადაჭედილია ხალხით. ქომაგთა შორის, ცხადია, ყველაზე პოპულარული კოპლებიანი მაისურებია. თუმცა, მას შემდეგ, რაც პელოტონი პირენეების მთებში შევიდა, სულ უფრო მეტად იგრძნობა ბასკური გავლენა. სულ უფრო და უფრო ხშირად გხვდება თვალში "ეუსკალტელის" - წმინდა ბასკური გუნდის ნარინჯისფერი.

ამბობენ, ყველაზე მეტი და თავგადაკლული ქომაგი ფეხბურთს ჰყავსო. მეეჭვება, რომ აქ, ზღვის დონიდან ორი ათას მეტრზე, დასახლებული პუნქტებიდან თხუთმეტი კილომეტრის მოშორებით მოწყობილ საფეხბურთო მატჩს კომფორტულ გარემოს შეჩვეულმა ფეხბურთის ამდენივე გულშემატკივარმა მიაკითხოს.

მე მატჩი ვახსენე, რომელიც, სულ ცოტა, საათნახევრიან სიამოვნებას მაინც ჰპირდება კაცს. ველოფანატები აქ, დიდი-დიდი, ორწუთიანი კაიფისთვის ამოდიან. ზუსტად იმდენი ხნით, რამდენიც პელოტონის გავლას დასჭირდება. სანაცვლოდ ყველა მათგანს საშუალება აქვს, რამდენსაც შეძლებს, იმდენ ხანს მისდიოს თავის კერპს, დროშის ფრიალითა და შეძახილებით გაამხნეოს, ბოლოს და ბოლოს, ხელით შეეხოს... მხოლოდ აქ, მთებში აქვს გასავალი ათას სისულელეს, რადგან ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც მაინცდამაინც არ გადის პოლიციური აკრძალვები, საოცრად სუსტია პოლიციური ბარიერები. სცხელა, სული ეხუთება შენს კერპს? შეგიძლია, მთელი ბოთლი ცივი წყალი მოაპირქვავო თავზე; გაუჭირდა აღმართზე? შეგიძლია, რამდენ ხანსაც შეძლებ, მისდიო და თან ხელიც შეაშველო... სპორტული სუვენირი გინდა? რაც გნებავს და რამდენიც გნებავს - ცარიელი სასმელი ბოთლებით დაწყებული, უსაფრთხოების მუზარადებით დამთავრებული. სამთო ეტაპის ფინიშზე მიმავალი სპორტსმენები სიამოვნებით იცილებენ ამ, ყოველ შემთხვევაში, აღმართში გამოუსადეგარ ხარახურას. არა, ფეხბურთის ქომაგს ეგეთი რამეები, დარწმუნებული ვარ, არც გაუგონია. ეს მარტო ჯიროზე, ვუელტასა და ტურ დე ფრანსზე ხდება.

მართლა ფანტასტიკური დღეები უდგათ ველოსპორტის გურმანებს. ცხელა საფრანგეთში, მაგრამ კიდევ უფრო ცხელა ტურის ეტაპებზე. სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება ერთმანეთს ტურის ორი ჩემპიონი. ასეთი სასტიკი ორთაბრძოლა ნაღდად არ მახსოვს. ერთ მხარეს ტურ დე ფრანსის ზედიზედ ოთხჯერ მომგები ამერიკელი ლანს არმსტრონგია, მეორე მხარეს – ტურის ჩემპიონი, სამგზის პრიზიორი და ვუელტას ჩემპიონი გერმანელი იან ულრიხი. მთელი მსოფლიოს ტოტალიზატორები არმსტრონგს ანიჭებენ უპირატესობას, თანაც, ისეთ უპირატესობას, რომ ფსონის დადების ასეთი ტიპიც კი გაჩნდა: "არმსტრონგის გარეშე". ესე იგი, არმსტრონგი თავისთავად და, მოდი, არ ჩავთვალოთ, აი, დანარჩენებში ვინ გაიმარჯვებსო! ჩვენმა ქლიავმა ტოტალიზატორებმა ველოსპორტი რატომღაც გარიყეს. ცხადია, ეს ბოროტი განზრახვით არ მოსვლიათ, უბრალოდ, საქმეში ჩაუხედაობაა და მეტი არაფერი. მაგრამ არა უშავს, უტოტალიზატოროდაც გაძლებს კაცი. მით უფრო ჩემნაირი, რომელიც, აგერ უკვე მეხუთე წელიწადია, სწორედ ამ წუთებს ელოდა.

პროლოგში, ეგრეთ წოდებულ მცირე ინდივიდუალურ რბოლაში, რომელიც სულ რაღაც 6 კილომეტრის სიგრძისა იყო, ულრიხმა ოთხი წამი მოუგო არმსტრონგს. მეოთხე, ინდივიდუალურ-გუნდურ ეტაპზე, ამერიკელის გუნდმა ორმოცი წამი შეაწერა გერმანელის გუნდს. ეს შედეგი პირად ანგარიშებზეც გადავიდა და ასე წარმოიქმნა 35-წამიანი უპირატესობა. მეშვიდე, მთიან ეტაპზე, ამერიკელმა ეს უპირატესობა ორ წუთამდე გაზარდა. კიდევ ორმა მთის ეტაპმა ვერაფერი შეცვალა. ორწუთიანი განსხვავება ხელუხლებელი დარჩა. პირველი ეჭვიც, რომ არმსტრონგს წლევანდელი ტურის მოგება გაუჭირდებოდა, სწორედ მაშინ გაჩნდა. ბოლო წლებში როგორღაც შევეჩვიეთ, რომ მთის პირველივე ეტაპებზე არმსტრონგი ისეთ მარაგს იგროვებდა, მერე და მერე სანერვიულო აღარაფერი ჰქონოდა. ამჯერად ასე არ მოხდა. დაახლოებით ხუთი სპორტსმენი ალპებში ტოლს არ უდებდა ჩემპიონს. ულრიხი კი, მთის პირველი მძიმე ეტაპის შემდეგ, სულ უფრო და უფრო უკეთ გამოიყურებოდა. მეთორმეტე, ინდივიდუალურ ეტაპზე, ამერიკელმა მთელი ამ ხუთი წლის მანძილზე პირველი ნოკდაუნი იგემა. 47-კილომეტრიან ეტაპზე არმსტრონგმა წუთნახევარზე მეტი წააგო გერმანელთან. მარაგი შემცირდა. გარეგნულად არ იგრძნობოდა, მაგრამ, ეჭვი არ არის, არმსტრონგის ბანაკი დაბნეული იყო. დარჩა მთის ოთხი ეტაპი და ერთი ინდივიდუალური რბოლა, რომელშიც, ამერიკელები უკვე დარწმუნებული იყვნენ, ულრიხი იოლად გაანეიტრალებდა დარჩენილ 35-წამიან განსხვავებას. ვითარება ერთადერთ ტაქტიკას კარნახობდა. დარჩენილ მთიან ეტაპებზე უპირატესობა, სულ მცირე, ორ წუთამდე მაინც უნდა გაეზარდათ.

ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ამერიკული გუნდი გეგმავდა. პირენეების პირველივე მთის ეტაპზე არმსტრონგს, დიდი მონდომებისა და სიფრთხილის მიუხედავად, კიდევ ერთი, არცთუ ძლიერი, მაგრამ მაინც ზუსტი დარტყმა გაეპარა. ორ ჩემპიონს ერთმანეთისგან ახლა 15 წამილა აშორებს.

გარეგნულად ყველაფერი რიგზეა. ყვითელი მაისურით მარიაჟობა გრძელდება. არმსტრონგს, როგორც თაფლს ბუზი, ისე ახვევია რეპორტიორები. ისიც, ჩვენი პრეზიდენტისა და ასევე ჩვენი, ქართველი პროლეტარიატის ყველაზე დიდი დამცველის შალვა ნათელაშვილის მსგავსად, გაკეთებული ღიმილით პასუხობს ჟურნალისტებს. საქმეში ჩაუხედავებს კვლავ სჯერათ ოთხგზის ჩემპიონის უძლეველობისა (ნეტავ არიან მორწმუნენი!). მხოლოდ გურმანებმა თუ იციან, როგორ იწრიტება არმსტრონგის საგუბრიდან წამებიცა და საჩემპიონო მარაგიც.

**ტექნიკური შედეგები**
**XIII ეტაპი. ტულუზ - პლატო დე ბონასრი. 197,5 კმ.**

| | |
|---|---|
| 1. კარლოს სასტრე (CSC, ესპანეთი) | 5 სთ. 16 წთ. 08 წმ. |
| 2. იან ულრიხი (ბიანკი, გერმანია) | +1 წთ. 01 წმ. |
| 3. აიმარ სუბელდია (ეუსკალტელი, ესპანეთი) | +1 წთ. 03 წმ. |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | 55 სთ. 34 წთ. 01 წმ. |
| 2. იან ულრიხი | +15 წმ. |
| 3. ალექსანდრ ვინოკუროვი (ტელეკომი, ყაზახეთი) | +1 წთ. 01 წმ. |
| 4. აიმარ სუბელდია | +4 წთ. 16 წმ. |
| 5. ტაილერ ჰამილტონი (CSC, აშშ) | +4 წთ. 25 წმ. |
| 6. იბან მაიო (ეუსკალტელი, ესპანეთი) | +5 წთ. 20 წმ. |

---

## TV-სპორტი

**ორშაბათი. 21 ივლისი**

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ვიტორია" - "სან პაულუ"
15:00 რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "როსტოვი"
16:45 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ბაიერი"
18:30 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ფიორენტინა" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
20:15 თავისუფალი დარტყმა
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:40 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. მე-18 ტური
20:55 ფრენბურთი. გრან-პრი. ქალები. ჩინეთი - კანადა. პირდაპირი ტრანსლაცია
22:25 "FUTBOL MUNDIAL"
22:55 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:55 ფრენბურთი. გრან-პრი. ქალები. კორეა - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალ სოსიედადი" - "ბარსელონა"

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:00, 19:25, 20:30 პრეს-ცენტრი
11:15, 20:45 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 წყალში ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. კოშკურა 10მ. სინქრონული ხტომები. ფინალი
12:30 "პოსტსკრიპტუმი"
13:30 "საჭადრაკო მიმოხილვა"
14:40 კალათბურთი. WNBA ჩემპიონატი
16:10 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. მეორე წრე. სლოვენია - რუსეთი. შესვენებისას (17:00) პრეს-ცენტრი
18:00 "იცოდე გოლფის წესები"
18:55 "რკინის ფაქტორი"
19:40 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:45 "დიდი რინგი"
00:45 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 ახალი ამბები
02:00 "რკინის ფაქტორი"

**EUROSPORT**

11:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
14:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
21:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
22:45 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
00:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
02:30 ახალი ამბები
02:45 მულტისპორტი
03:00 ნასკარის ავტორბოლები
04:00 მოტოსპორტი
04:30 ახალი ამბები

# "საოჯახო ტოტო"-ს 19 ივლისის №17 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 000010 | 2.0 | 003511 | 2.0 | 006918 | 2.0 | 010115 | 3.0 | 013354 | 5.0 | 017216 | 5.0 | 020777 | 3.0 | 023922 | 3.5 | 027352 | 3.5 | 031056 | 2.5 | 034634 | 1.0 | 038181 | 1.0 | 041732 | 2.0 | 045026 | 25.0 | 048324 | 2.0 | 051898 | 1.5 |
| 000018 | 1.0 | 003521 | 3.5 | 006938 | 11.0 | 010138 | 2.0 | 013365 | 1.0 | 017230 | 2.0 | 020797 | 1.0 | 023928 | 1.0 | 027379 | 1.5 | 031122 | 2.0 | 034643 | 3.5 | 038182 | 2.0 | 041751 | 1.5 | 045028 | 2.0 | 048333 | 1.0 | 051929 | 3.0 |
| 000033 | 2.5 | 003522 | 3.5 | 006940 | 4.0 | 010142 | 13.0 | 013367 | 1.5 | 017239 | 2.0 | 020802 | 3.0 | 023943 | 2.0 | 027408 | 2.5 | 031175 | 4.0 | 034646 | 3.5 | 038198 | 1.5 | 041776 | 2.5 | 045048 | 3.5 | 048391 | 11.0 | 051933 | 17.5 |
| 000046 | 2.5 | 003530 | 2.0 | 006955 | 1.5 | 010154 | 4.0 | 013442 | 1.5 | 017267 | 1.5 | 020809 | 2.0 | 023952 | 2.5 | 027418 | 2.5 | 031229 | 3.5 | 034653 | 11.0 | 038215 | 5.0 | 041814 | 1.0 | 045060 | 2.5 | 048435 | 2.5 | 051994 | 1.5 |
| 000059 | 3.5 | 003546 | 3.5 | 006956 | 4.5 | 010158 | 20.0 | 013448 | 2.5 | 017274 | 4.5 | 020815 | 1.5 | 023956 | 1.0 | 027423 | 1.5 | 031246 | 1.0 | 034666 | 1.0 | 038216 | 17.5 | 041815 | 1.5 | 045073 | 4.0 | 048443 | 2.5 | 051996 | 3.5 |
| 000068 | 1.5 | 003552 | 2.0 | 006973 | 2.5 | 010174 | 7.0 | 013450 | 5.0 | 017330 | 2.0 | 020826 | 3.5 | 024030 | 3.0 | 027433 | 50.0 | 031284 | 20.0 | 034668 | 2.0 | 038244 | 4.5 | 041844 | 4.5 | 045089 | 4.5 | 048463 | 11.0 | 052002 | 3.5 |
| 000075 | 1.0 | 003605 | 3.0 | 006976 | 1.5 | 010199 | 3.5 | 013477 | 2.5 | 017332 | 1.5 | 020827 | 3.5 | 024037 | 1.5 | 027449 | 4.0 | 031289 | 11.0 | 034669 | 1.5 | 038301 | 1.0 | 041883 | 2.5 | 045126 | 2.0 | 048468 | 1.0 | 052009 | 4.0 |
| 000078 | 11.0 | 003639 | 3.0 | 006979 | 3.5 | 010207 | 2.0 | 013488 | 1.5 | 017355 | 1.0 | 020829 | 3.5 | 024067 | 1.0 | 027452 | 1.5 | 031291 | 4.5 | 034694 | 3.5 | 038313 | 4.5 | 041886 | 7.0 | 045132 | 11.0 | 048481 | 11.0 | 052015 | 1.5 |
| 000089 | 2.5 | 003640 | 2.5 | 006991 | 35.0 | 010230 | 2.5 | 013495 | 9.0 | 017364 | 3.0 | 020841 | 5.0 | 024104 | 3.0 | 027458 | 1.0 | 031292 | 1.0 | 034747 | 4.0 | 038332 | 1.5 | 041888 | 9.0 | 045147 | 1.0 | 048524 | 1.5 | 052020 | 1.0 |
| 000111 | 3.5 | 003648 | 2.0 | 007005 | 3.0 | 010243 | 30.0 | 013519 | 2.0 | 017383 | 1.5 | 020854 | 1.5 | 024105 | 4.0 | 027466 | 9.0 | 031359 | 11.0 | 034793 | 4.0 | 038337 | 7.0 | 041927 | 1.5 | 045170 | 2.0 | 048553 | 7.0 | 052031 | 2.5 |
| 000149 | 2.5 | 003658 | 9.0 | 007052 | 2.0 | 010247 | 1.5 | 013530 | 3.0 | 017409 | 1.5 | 020859 | 2.0 | 024113 | 1.5 | 027483 | 1.0 | 031372 | 3.0 | 034826 | 4.5 | 038357 | 2.0 | 041963 | 2.5 | 045190 | 1.0 | 048602 | 1.0 | 052102 | 7.0 |
| 000178 | 1.0 | 003685 | 2.0 | 007053 | 1.5 | 010258 | 1.5 | 013542 | 3.0 | 017413 | 2.5 | 020897 | 2.5 | 024212 | 2.0 | 027484 | 1.0 | 031381 | 2.5 | 034856 | 3.0 | 038360 | 2.0 | 041992 | 3.5 | 045250 | 2.5 | 048610 | 2.5 | 052175 | 2.0 |
| 000200 | 3.5 | 003706 | 1.0 | 007095 | 1.0 | 010268 | 1.5 | 013569 | 3.5 | 017444 | 2.0 | 020917 | 4.5 | 024222 | 5.0 | 027547 | 2.5 | 031402 | 1.5 | 034859 | 2.0 | 038361 | 5.0 | 041995 | 4.5 | 045296 | 2.0 | 048639 | 1.5 | 052176 | 7.0 |
